დ. ბეწაძე

სულხან-საბა ორბელიანის ენა

I

თბილისი
1970

პროფ. დავით გეწაძის ნაშრომზე
"სულხან-საბა ორბელიანის ენა",

მანქანაზე გადაბეჭდილი, ნაწ. I (გვ 1-397), ნაწ. II (გვ. 1-366), ნაწ. III (გვ. 1-329)

წიგნი განსვენებული ავტორის ხანგრძლივი ძიების შედეგია და უეჭველად მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებაში. შესრულებულია ის თანამედროვე დონეზე და ეძღვნება ფრიად აქტუალური ფართო წრის საკითხების გაშუქებას, სრულ წარმოდგენას გვაძლევს XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ეპოქის დიდებული მწერლის, მეცნიერისა და ლექსიკოგრაფის ლიტერატურულ თხზულებათა ენის ზოგადი ბუნებისა და კონკრეტულ ნიშან-თვისებათა შესახებ. ნაშრომში ფართო გეგმითაა შესწავლილი საბას დასახელებათა ენის ფონეტიკური და სტრუქტურული სისტემა, ლექსიკის ძირითადი თავისებურებები და ხმარებულება, ნაჩვენებია ის უაღრესად დიდი როლი, რომელიც ამ შესანიშნავმა თხზულებებმა ითამაშეს საშუალო ქართულის, როგორც მთლიანი ენობრივი სისტემის, ჩამოყალიბებასა და ახალი სალიტერატურო ენის მკვიდრი საფუძვლების შემდგომ განმტკიცებაში. საანალიზოდ ავტორს გამოყენებული აქვს მდიდარი და ნაირფეროვანი, სანდოდ კლასიფიცირებული ფაქტობრივი მასალა. განსაკუთრებით ძვირფასია და მაღალ შეფასებას იმსახურებს საბას ორი ლიტერატურული თხზულების - "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" - სიმფონია ლექსიკონები, რომლებშიც აღბეჭდილია თხზულებაში ნახმარი ყველა სიტყვა, მოცემულია ამ ძეგლების ლექსიკის უმთავრესი, ძნელად გასაგები, ნაწილის განმარტებები და ამასთან ერთად სტატისტიკურად გამოთვლილია ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულთა ხმარებულების სიხშირე. ზმნურ ერთეულებს უპირატესად თან ახლავს მწკრივთა შესაძლო პარადიგმები. ორივე ძეგლის სიმფონია-ლექსიკონები სიუჟეტური ცნობარებია, რომელთა მნიშვნელობა ჩვენი მეცნიერებისათვის განუზომლად დიდია. წიგნი დაწერილია პროფესიულად, მკაფიოდ, ცოცხალი ენით. ავტორი გვამცნობს არა მარტო შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად მიღებულ ფრიად საინტერესო შედეგებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღძრულ პრობლემებზე გამოთქმულ შეხედულებებს, არამედ იძლევა მათ კრიტიკულ შეფასებასაც, ამისთანა შინაარსის მონოგრაფია მწერლის ენის შესახებ ჩვენში ჯერ არ გამოცემულა და მისი დაბეჭდვით, ჩემი ღრმა რწმენით, უეჭველად დიდად სასარგებლო საქმე გაკეთდება.

წიგნი გამოადგება როგორც სპეციალისტ-ფილოლოგებს, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა მასებს, ისე, რაც მთავარია, ჩვენ სტუდენტებსა და პედაგოგებს, ყველას, ვინც ეცნობა ქართული ენის განვითარებასა და მწერლობის ისტორიას.

ჩვენ ერთხელ კიდევ გადავსინჯეთ დედანი, ის გამზადებულია გამოსაცემად და შეიძლება წარმოებაში ჩაიშვას ამ სახით, წინასწარ დასჭირდება მხოლოდ ტექნიკური რედაქცია.

წიგნი წარმოდგენილია სამ ნაწილად, მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი ერთ ტომად გამოცემა. ეს საქმისათვის უმჯობესი იქნებოდა, რადგან სამივე ნაწილი ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან - წიგნის ერთ ტომად გამოცემით ნამდვილად ვასიამოვნებთ მკითხველსაც.

ვთხოვ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობას, რათა შეუდგეს წიგნის სასტამბოდ გამზადებას. თუკი საჭირო გახდება, მზად ვარ, შევასრულო გამომცემლობის სხვა დავალებაც, ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

პროფ. ალ. ღლონტი,

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,

ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო

პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე.

12.V.1981 წ. თბილისი

პროფ. დავით გეწაძის ნაშრომზე
"სულხან-საბა ორბელიანის ენა"

სულხან-საბა ორბელიანს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ეს ადგილი მან დაიმკვიდრა ერთი მხრივ თავისი შესანიშნავი ლექსიკონით, მეორე მხრივ კი მხატვრული თხზულებებით, განსაკუთრებით კი "სიბრძნე სიცრუის" წიგნით, რომელიც ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის შედევრია და ჩვენი მწერლობის ოქროს ფონდს მიეკუთვნება.

როგორღაც ისე მოხდა, რომ ქართველმა ენათმეცნიერებმა მეტი ყურადღება დაუთმეს საბას ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობას, ხოლო მისი როგორც მწერლის წვლილი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში შედარებით ნაკლებად იყო და არის დღემდე შესწავლილი. ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავდა მიზნად აწ განსვენებული პროფესორი დავით გეწაძე, რომელმაც დაწერა მონოგრაფიული გამოკვლევა "სულხან-საბა ორბელიანის ენა", სადაც მწერლის ენა დაწვრილებით არის შესწავლილი მისი მხატვრული თხზულებების - "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის მიხედვით. ეს სწორედ ის თხზულებებია, რომლებითაც საბამ წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას.

სამწუხაროდ, ავტორმა ვეღარ მოასწრო გაეგრძელებინა წამოწყებული საქმე და ასევე მონოგრაფიულად შეესწავლა საბას სხვა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებების ენაც, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი თავისი მნიშვნელობით ზემოთხსენებულ ნაწარმოებებს ვერ გაუტოლდებიან. ასე რომ, ძირითადი სამუშაო საბას ენის შესწავლის საქმეში დავით გეწაძეს უკვე გაკეთებული ჰქონდა და ეს მისი დამსახურებაა ქართულ ენათმეცნიერებაში.

დავით გეწაძის მონოგრაფიის გამოქვეყნება ცალკე მონოგრაფიის სახით უთუოდ სასურველი და სასარგებლო საქმეა. ეს იქნება აგრეთვე კეთილშობილური ვალის მოხდაც ჩვენი უდროოდ გარდაცვლილი მეგობრისა და კოლეგის ხსოვნის წინაშე, ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ რაკი გამოცემა ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება, რედაქტორს (თუ რედაქტორებს) შედარებით მეტი დატვირთვით მოუხდებათ მუშაობა, რათა გაასწორონ ზოგიერთი ხარვეზი, უნებლიე შეცდომები თუ კორექტურული უზუსტობანი.

კერძოდ, დავ. გეწაძე ნდობით ეკიდებოდა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა უკანასკნელ, აკადემიურ გამოცემას, ამ გამოცემაში კი, სამწუხაროდ, არის ზოგიერთი შეცდომა და ბუნებრივია, აქედან ისინი გადასულია გამოკვლევებშიც, სასურველია, რამდენადაც შესაძლებელია, ასეთი ადგილები დაზუსტდეს.

საერთოდ, დავით გეწაძის ნაშრომის "სულხან-საბა ორბელიანის ენის" -აქტუალურობა და მეცნიერული ღირებულება უეჭველია და მისი გამოცემა, ვიმეორებთ, უთუოდ საჭირო და სასურველი საქმეა.

ზ. ჭუმბურიძე.
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

31.V. 1980 წ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრა

ლ. ბ ე ნ ა ძ ე

სპიტაკ-ხასა ოსეთიურის ენა

/"სპარნე-ხიურეთა", "მიეტაკოსა ვენოსაში"/

I

დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1970

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
Кафедра новогрузинского языка

Д.О. Гецадзе

ЯЗЫК
СУЛХАНА-САБА ОРБЕЛИАНИ
/"Мудрость вымысла", "Путешествие в Европу"/

I

Диссертация на соискание
ученой степени доктора
филологических наук

Тбилиси
1970

წინასიტყვაობა

დიდი ქართველი მწერლის, უბადო ლექსიკოგრაფის, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის /1658-1725/ ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მის კალამს ეკუთვნის ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი შედევრი "სიბრძნე სიცრუისა", მემუარული ჟანრის ნაწარმოები "მოგზაურობა ევროპაში", ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან თარგმნილი "ქილილა და დამანას" ახალი რედაქცია, ქართული ენის ფასდაუდებელი საუნჯე "ქართული ლექსიკონი", ანუ "სიტყვის კონა" და საეკლესიო-სასულიერო შინაარსის თხზულებანი: "სწავლანი და "საფიხის კარი". მასვე გამოსცემად მოუმზადებია მიქელა და უთარგმნია მისი სიმღერა, ანუ კონკორდანსი.

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ენის საკითხების შესწავლაზე ხანგრძლივმა მუშაობამ ჩვენ ირწმუნა, რომ ქართული საკლესიო-სასულიერო ენის განვითარების ისტორიაში გამოსაკვეთი დიდი როლი ითამაშა "სიბრძნე სიცრუისამ" და "ევროპაში მოგზაურობამ". ამ მხრივ მა პირველი ადგილი უჭირავთ სულხან-საბას სხვა თხზულებათა შორის. ანალოგიური მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც არაერთგზის გამოთქმულა: "სიბრძნე სიცრუისა", - წერს კ. კეკელიძე, - ის მიჩნია, საიდანაც ქართულ მხატვრულ პროზაში დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება მისი ენის ხასიათ მეფლეფესთან დაახლოებით". ამავე მეცნიერის აზრით, სულხან-საბა ორბელიანმა ქართული საკლესიო ენა "დაუყენა გამარჯვების, ხასიათ მეფლეფესთან დაახლოების გზაზე, რასაც ადვილი იჩინა გავლენა მის თხზულებაში, რომელსაც "მოგზაურობა ევროპაში" ეწოდება". "ანუ "სწავლანი"

და ამის მსგავსი სხვა წაბარბაცებები საკასი, - აღნიშნავს ივ. ჭ ი ჭ ი-
ნ ე ი შ ვ ი ლ ი, - და არც მისი "ლექსიკონის" დიდი ნაწილი არ შეიძლება
საკას ენობრივი პოზიციის, მისი ენისა და სტილის გარმესაგლეველად გამო-
ყენეს. ამ ხსენებულებია ენის მიხედვით სულხან-საბა ორბელიანი ვერ გაიჭერა
იმ ადგილს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში, რომელიც
მას უჭირავს. თუ საკას გარკვეული ადგილი უკავია ქართული სალიტერატურო
ენის განვითარების ისტორიაში, თუ იგი ამსახველია ქართული სალიტერატურო
ენის განვითარების ერთი უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საფეხუ-
რისა, იმიგომ, რომ იგია ავტორი "სიბრძნე სიცრუის წიგნისა" და "ევროპაში
მოგზაურობისა". ეს ხსენებულებია, რომლებშიაც საკამ მკვეთრად გამოავლინა
თავისი დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი და რომლებითაც
სრულიად გარკვეული კვალი დაამჩნია ქართული სალიტერატურო ენის განვითა-
რებას".

წინამდებარე ნაშრომიც სწორედ "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში
მოგზაურობის" ენის მიხედვით შესწავლას ისახავს მიზნად. ნაშრომში მო-
ცემულია ცდა ამ ხსენებულებათა ენობრივი თავისებურებების დადგენისა, ერთი
მხრივ, ძველი ქართული სალიტერატურო ენისა და, მეორე მხრივ, საშუალი და
ახალი ქართული სალიტერატურო ენისადმი მიმართებით. ყურადღება მახვილდება
"სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" მიგიერთ სტილურ ნიშანდეგ-
ებზე. ცალკე თავი ეძღვნება ავტორად იმ დიდი დამსახურებისა და ღვაწლის ნა-

ნიშან-ფესვია, რამელნაირაც ამის სახელებას გვაძლევდა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები, და შეძლებისდაგვარად გაგვერკვია დიდი ქართველი მწერლის ადგილი და როლი ქართული საliტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

ნაშრომს თან ერთვის "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" სიმფონია-ლექსიკონები /II$_1$, II$_2$/, რომლებშიც შეტანილია ამ ხხზულებებში გადასტურებული ყ ვ ე ლ ა ს ი ტ ყ ვ ა თავ-თავიანთი ფორმებით, ბოლოდ მათგან ახლავს საანალიზო ახსნა-განმარტებებიც.

"სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" ენობრივ თავისებურებათა შესწავლის დროს ძ ი რ ი თ ა დ ა დ ვეყრდნობოდით ამ ხხზულებათა უკანასკნელ გამოცემას /სულხან-საბა ორბელიანი, ხხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ა და რ. ბ ა რ ა თ ი ძ ე მ, თბ. 1959/, საკონტროლოდ ხშირად მივმართავდით ავტოგრაფ წინა გამოცემებსა და ხელნაწერებს /"სიბრძნე სიცრუისა": Q-744 /S-3047, A-1166, H-180, A-860, S-1528, H-59; "მოგზაურობისას": H-93, H-759/.

ეს ნაშრომი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მუშაობის შედეგია. სულხან-საბა ორბელიანის ხხზულებათა ენის საკითხების კვლევა-ძიებას შევუდექით 1963 წლიდან. ჩვენ მიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ სხვადასხვა დროს წაკითხული გვაქვს მოხსენებები:

1. დაკვირვებანი სულხან-საბა ორბელიანის ენაზე: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXVIII სამეცნ. სესია, 1964წ. 27-29. IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 160.

2. ენათმეცნიერული ხასიათის განმარტებები სულხან-საბა ორბელიანის "ქართულ ლექსიკონში": საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერებ-

ების ინსტიტუტი, ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრა, გაერთიანებული სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1964 წ. 15-16.V, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 11-12.

3. სულხან-საბა ორბელიანის ენა /"ქართული ლექსიკონი"/: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXIX სამეცნ. სესია, 1965წ. 20-23.IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 161.

4. სულხან-საბა ორბელიანის ენა /"სიბრძნე სიცრუისა"/: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXX სამეცნიერო სესია, 1966წ. 19-23.IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 172.

5. სულხან-საბა ორბელიანის ენა /სახელთა ძრუნება "მოგზაურობაში"/: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXXI სამეცნ. სესია, 1967წ.24-27.IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 155.

6. სახელთა ძრუნების ზოგიერთი საკითხი სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუის წიგნში": საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა VII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიური კონფერენცია, 1967წ. 28-29.X, თბილისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 19-20.

7. მწკრივთა ფორმების წარმოება სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერებში: ოსუ ფილოლოგიის დაკუთვნილების XII სამეცნ. სესია, 1968წ. აპრილი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 37-38.

8. სულხან-საბა ორბელიანის ენა /"სწავლანი"/: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXXII სამეცნ. სესია, 1968წ. 1-6.IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 80-81.

9. სულხან-საბა ორბელიანის ენა /"ქილილა და დამანას" საბასეული ვერსია/: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი, XXXIII სამეცნ. სესია,

1969წ. 5-8.V, მუშაობის კვება და მოხსენებათა ლეგისები, გვ. 88.

10. ფონეტიკური პროცესები სულხან-საბა ორბელიანის ხხეულებებში: ოსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, სამეცნიერო სესია, 1970წ. 6-14.IV, მუშაობის კვება და მოხსენებათა ლეგისები, გვ. 19-20.

აქ წარმოდგენილი ნაშრომი პ ი რ ვ ე ლ ი ნაწილია ჩვენ მიერ მომავალში დასამზადებელი მონოგრაფიისა, რომლის II და III ნაწილები მიეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის დანარჩენ ხხეულებათა ენისა და სტილის თავისებურებათა შესწავლას.

დავ.ტუსაძე

9 მაისი, 1970
თბილისი

შესავალი

ქართული საელჩოო-საეკლესიო ენა სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში

§ 1. ქართული საელჩოო-საეკლესიო ენის თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ ენაზე შექმნილია მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი მხატვრული, საეკლესიო-რელიგიური, საისტორიო, ფილოსოფიური და სამეცნიერო ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა.

ქართული საელჩოო-საეკლესიო ენის განვითარების ისტორიაში, ჩვეულებრივ, სამ პერიოდს გამოყოფენ:[1] ძველს /IV-XI სს/, საშუალს /XII-XVIII სს/ და ახალს /XIX-XX სს/.[2] არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ქართული ენის განვითარებაში გვაქვს მხოლოდ ორი პერიოდი: ძველი /IV-XI სს/ და ახალი /XII საუკუნიდან დღემდე/.[3]

§ 2. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა რიგორც ერუდიციულად, ისე თავისი სპეციფიკური ეროვნული ნიშნებით მჭიდროდ უკავშირდება ქართული საელჩოო-საეკლესიო ენის განვითარების მეორე პერიოდს - საშუალ ქართულს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სპეციალურად ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით,

---

1 ქართული საელჩოო-საეკლესიო ენის განვითარების პერიოდების შესახებ გამოთქმული მოსაზრებათა გასაფანტლად იხ. ა. კ ი ბ რ ი ა, საერთ მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი: იკე, ტ. VI, 1954, გვ. 138-140, ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ახალი საელჩოო-საეკლესიო ენის ისტორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1968, გვ. 11-16.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა: ა. შ ა ნ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1950, გვ. 278.

3 ალფ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ახალი საელჩოო-საეკლესიო ქართული ენის წარმოშობისათვის: ენკ, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 018-028.

მოცემულ მიმოიხილოთ საშუალო ქართული საკითხვარაული ენის **ტ ე ნ ე ბ ი ს** და მისი **ძ ი რ ი თ ა დ ი** **დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი** **ნ ი შ ნ ე ბ ი**, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს საქნის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე დონე.[1]

1. საშუალი ქართული საკითხვარაული ენა სათავეს იღებს XI-XII საუკუნეებიდან. მისი წარმოქმნა და შემდგომი განვითარება განაპირობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა დიდმა გარდატეხამ: "დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმოცვლა /აქედან გამომდინარე ყველა შედეგით/, ის დიდმნიშვნელოვანი სოციალიზაციურ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული საკითხვარაული ენის წარმოქმნა შეაპირობა. სახელმწიფო კანცელარია და სასამართლო, ისტორიული ხანგრძლივობანი, მხატვრული ლიტერატურა ამ ახალი ენის საბრძოლ წარმოადგენდა, ახალი ქართული ენის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა"[2].

ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ "XI-XII საუკუნეებში დასრულდა X საუკუნეში დაწყებული დაქუცმაცებული სამთავროთა გაერთიანება. წარმოიშვა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო. მომრავლდა მოსახლეობა, გაფართოვდა მეურნეობა, განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა, გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიური ბაზა,

---

1 სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ "ქართული საკითხვარაული ენის განვითარების მთლიანი მიმოხილვა ჯერ კიდევ არა გვაქვს. შეადარებით თითქოს უფრო სრულად არის შესწავლილი ძველი /V-X სს/ ქართული და რამდენადმე ახალი პერიოდის ლიტერატურის ენა /XIX-XX სს/, ხოლო ძალიან ცოტა ვიცით ქართული ენის ისტორიის ერთი დიდი და საინტერესო მონაკვეთის - XII-XVIII საუკუნეების პერიოდის - შესახებ" /ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს, I, თბილისი, 1954 გვ. V-VI/.

ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს ამ მეცნიერული გამოკვლევა, რომლის I ნაწილი ეხება XII-XVIII სს. ქართული ფონეტიკური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებებს. მოზრდილი "მეორე და მესამე ნაწილებში, - როგორც ავტორი გვამცნობს, - მოცემული იქნება გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხების ისტორია" /იქვე, გვ.VI/.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ახალი საკითხვარაული ქართული ენის წარმოქმნისათვის, გვ. 018-019.

პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, კვლავ აღზევდა ქართული, სადაც ძველ საliტერატურო ქართულ ენას დასასრული მიეცა V საუკუნეში".[1]

საშუალი ქართული საliტერატურო ენის თანდათანობით ცვლისა და შემდგომი განვითარების ხანგრძლივი პროცესი დოკუმენტურად არის დადასტურებული XII-XVIII სს მდიდარსა და მრავალფეროვან liტერატურულ ძეგლებში.

2. საშუალი ქართული საliტერატურო ენის წარმოქმნისა და განვითარების საქმეში ჩვენთან მეოთხეულ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულა საერთ liტერატურის წარმოშობამ, კერძოდ, შოთა რუსთაველის უკვდავმა პოემამ - "ვეფხისტყაოსანმა". ეს დიდებულოვანი ისტორიული ფაქტი არაერთგზის აღუნიშნავთ სპეციალურ liტერატურაში:[2] "მწიგნობრობა მეთერთმეტე საუკუნიდან სასულიერო პირთა და ეკლესია მონასტრებიდან გადავიდა შეერეოდა ფართო მასებში, საერთ სამხედრო წრეებში და ამით საliტერატურო ენა დაუახლოვდა სასაუბრო ხალხურ ენას. საკმაო იყო ამ ენის შეჭავება ხალხური ენის ნორმებით, მისი ლექსიკითა და ფორმებით, რომ ჩვენს წინ გადაშლილიყო ნამდვილი მარგალიტები საერთ პოეზიისა".[3] "ახალი საliტერატურო ქართული ენა

---

1. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965, გვ. 22.

2. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული liტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1941, გვ. 6; ა. შ ა ნ ი ძ ე, ხუთტომეული, II, ვეფხის ტყაოსნის საკითხები, I, თბილისი, 1966, გვ. 65; ალ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, წინასიტყვაობა, ქქნ, ტ. I, გვ. 003, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 24; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის ენა: ენა და liტერატურა, თბილისი, 1955, გვ. 67; ივ. ჭ ი ბ ე ი შ ვ ი ლ ი, ი.ტ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიძღვნილია საერთ-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული საliტერატურო ენის საკითხები, იქვე, ტ. III, 1952, გვ. 503-504; მ ი ს ი ვ ე, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, ოსდ ტამოცდალეტია, თბილისი, 1959, გვ. 31. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 12-13; ალ. ბ ა ბ ა ლ ი ნ ო ს ი ვ ი, საერთ მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იქვე, ტ. VI, 1954, გვ. 87...

3. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული liტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 5.

ჩაისახა XII საუკუნის საერთო პოეზიაში"[1] "ძ ვ ე ლ ი და ს ა ე რ თ ო მ წ ე-
რ ლ ო ბ ი ს ე ნ ი ს ს ი ნ კ რ ე ტ ი ზ მ ი თ /მ ე რ წ ყ მ ი თ/ წარმოიქ-
მნა ქ ა რ ფ ა მ ა ვ ა ლ ი ე ნ ა, ს ა შ უ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი"[2].

საერთო ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებები ყოველმხრივ უწყობდა ხელს საშუალი ქართულის დამკვიდრებასა და ფართოდ გავრცელებას. "ეჭვგარეშეა ამ მხრივ ქართული პოეზიის მარგალიტის "ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობა. მან შექმნა მთელი ეპოქა ქართული საliტერატურო ენის განვითარებაში და განსაზღვრა მისი მიმართულება /კერძოდ, პოეზიის დარგში/ მთელი ოხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში. საერთო პოეზიამ გაათავისუფლა ქართული ენა სქოლასტიკის ფეოდალურ-საკან და ცალმხრივი მავნე ტენდენციებისაგან, თამამად შემოიტანა და დანერგა მწერლობის ენაში ხალხური ფორმები, უფრო ტევადი, ფართო მოცულობისა და მოქნილი გახადა იგი. "ვეფხისტყაოსნის" ავტორიტეტის დიდი გავლენის შედეგია ის, რომ მომდევნო საუკუნეების /"ალორძინების ხანის"/ მწერლებმა ფართოდ და გაბედულად გაუღეს კარი წიგნის ენაში მაცოცხლებელ ხალხურ ნაკადს და მასზე დაამყარეს ქართული ენის განვითარება".[3]

3. ძველი ქართული საliტერატურო ენა /V-XI სს/ დროთა განმავლობაში საგრძნობლად დაშორდა თავის მაგისს - საერთო-სახალხო სასაუბრო ენას: "სამწერლობო ენა საეკლესიო მწერლობის ენა გახდა და საეკლესიო სფეროს მოთხოვნებს უპასუხებდა. გარდა ამისა, საერთო-სახალხო ენის ბრუნვითი წყობა წელა, მავრამ თანდათანობით იცვლებოდა, სამწერლობო ძველ ქართულს კი ბევრად შემუშავებული ნორმები ჰქონდა, მტკიცედ ჩამოყალიბებული საliტერატურო ენის შესაფერი და ნაკლებ ცვალებადი".[4] ძველი ქართული საliტერატურო ენა გულმო-

---

1. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, წინასიტყვაობა, ტომი, ტ. I, გვ. 008.
2. ვ. ფ ო ფ ხ ი ა, ქართული ენა და მართლწერის საკითხები, გვ. 23.
3. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისადმი, გვ. 12-13.
4. ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ი.ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ეროვნული ქართული საliტერატურო ენის საკითხები, გვ. 501.

დგინედ უბმავდა კარს იმ ფონეტიკურ ცვლილებებს, რომლებიც საერთო-სახალხო ენის ლექსიკურ შემადგენლობასა და გრამატიკულ წყობაში ხდებოდა. "ქართული ენა აჩჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან საliტერატურო ენის ფავლენის ქვეშ უნდა მოექცია ბეპირმეფფვლილებიდი ენა, ან პირიქით, ბეპირმეფფვლილებიდი ენის ახალი ნორმების მიხედვით ფადაეხალისებინა საliტერატურო ენა. პირველი გზით სვლა მაშინ შეუძლებელი იყო. ენა მეორე გზას დაადგა, როგორც კი ცოცხალ, ბეპირმეფფვლილებიდ ენას ამისი საშუალება მიეცა, იგი მძლავრ ნაკადად შემოიჭრა საliტერატურო ენაში".[1] მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ პროცესის დასაწყისი ფონეტიკურ დასტურებს ფვით ძველი ქართული ენის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორიცაა გ. მ ო ა ბ ა ნ ი ლ ი ს /1009-1065/ "ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი": "გ. მოაბანელის ხიზაელების ენის თავისებურებათა განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართული საliტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ... კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ის /გ.მოაბანელი - რ.ბ./ ცდილობს ძველი ქართული საliტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის /IX-X სს/ ნორმების მიხედვით წერის, მაგრამ ვერ ახერხებს თავი დაახწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სიტყვაწარმოებასა და სიტყვების შერჩევაში; ერთი სიტყვით, ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული საliტერატურო ენა შემდგარია ახალ ფაზაზე... "ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი" უეჭველად საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს".[2]

ძველი ქართული საliტერატურო ენისაკენ განსხვავებით, საშუალმა ქართულმა გზა აიღო საერთო-სახალხო, ცოცხალ სასაუბრო ენისაკენ, მან ფართო გასაქანი მისცა საერთო-სახალხო ენის წიაღში მოხვედრ იმ ცვლილებებსა და

---

1. ფ. ე ლ ბ ე ლ ი ძ ე ი, ქართული საliტერატურო ენის საფეხურებიდან, ტისკარი, №2, 1966, გვ. 125.

2. ა. შ ა ნ ი ძ ე, გიორგი მოაბანელის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით: გიორგი მ ო ა ბ ა ნ ე ლ ი, "ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თბილისი, 1946, გვ. 81-82.

სიახლეებს, რომლებსაც ერეკლე უკვიდა ქვეყნის ძველი ქართული საეკლესიო-საეროენა: "მეთორმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული საეკლესიო-საეროენის ძირითადი გამმსაზღვრელი ნიშანი ხალხურობაა".[1]

4. როგორც ცნობილია, "ძველი საეკლესიო-საეროენა ქართული შეიქმნა ისტორიული ქართლის მეფეთაგან ეროვნული საფუძველზე",[2] მაგრამ დროთა განმავლობაში იგი თანდათანობით დაშორდა თავის ფუძე-დიალექტს როგორც ფონეტიკური წყობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, ისე ლექსიკური შემადგენლობის მხრივ. ძველი ქართული საეკლესიო-საეროენა ინდივიდუალურად ეკიდებოდა სხვა დიალექტების მონაცემებსაც: "თავისი მკაცრად შეზღუდული ლიტერატურული ნორმების გამო იგი კარს უღებდა მთელი რიგი დიალექტური ნეოლოგიზმების ასათვისებლად".[3]

საშუალი საეკლესიო-საეროენა კი, პირიქით, ძლიერ უახლოვდება დიალექტებს. იგი გზას იკაფავს საორიენტაციოდ ახალი დიალექტების ირჩევით, აღმოსავლეთ საქართველოს მარის კილოებისაკენ გეზის აღებით: "ძველი ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეცვლა ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, საეკლესიო-საეროენის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე, ესაა პროცესი ახალი / ~~ენის~~ საშუალი - დ.ტ./ ქართული ჩამოყალიბებისა".[4] "ახალი ქართული საეკლესიო-საეროენა მიღებულია ძველი ქართულის გადამუშავების შედეგად ქართლ-კახეთის ცოცხალი მეფეთაგან".[5]

XII-XVIII სს ქართული საეკლესიო-საეროენის შემდგომ განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ სხვა დიალექტებიც: "მწიგნობრობა ისე ფართოდ და შეუზღუდავად ვრცელდებოდა სხვა კუთხეებშიც და კულტურის ცენტრები ისე მოფენილ იყო, რომ საფანადო კუთხეებიდან მძლავრად შემოიჭრა ახალი ნაკადი, რა-

---

1. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის ენა: ენა და ლიტერატურა, გვ. 67. შდრ.: ივ. ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, იქვე. სტალინის მოძღვრება საერო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული საეკლესიო-საეროენის საკითხები, გვ. 502.
2. ანრ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 115.
3. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 4.
4. ანრ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტოლოგიის საკითხისათვის "ვეფხისტყაოსანში", ენიმკის მოამბე, ტ.III, 1938, გვ. 227. შდრ. ივ.ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, იქვე. სტალინის მოძღვრება საერო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული საეკლესიო-საეროენის საკითხები, გვ. 502.
5. ანრ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ილია ყავსაძე ენის შესახებ, თბილისი, 1938, გვ.3.

ბედაც, ეფუძნა, ლიტერატურის ენა უარს არ აცხადებდა და ბევრ შემთხვევაში კიდეც იდებდა მას".[1]

სწორედ ამ უკიდობელი ფაქტი არის განპირობებული XII-XVIII სს ქართული საერო-საკანონმდებლო ენის კიდევ ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: საშუალი ქართული ენის შედგენილობაში დიდი ადგილი უჭირავს სხვადასხვა დიალექტიდან მომდინარე ფონეტიკურ მოვლენებს, გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებს.

5. საშუალი ქართული საერო-საკანონმდებლო ენის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ ავრეთვე სიტყვათა სესხების ხანგრძლივი და საკმაოდ ძლიერი პროცესი: "ამ პერიოდის ენას უხდებოდა ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა ოჯახის ენებთან /ბერძული, ებრო-არამული, არაბული, ბერძნული/, რაც ბევრის კვალს აჩნევს ქართული ლექსიკის განვითარებას".[2]

დადგენილია, რომ XI-XII საუკუნეებიდან ქართული საერო-საკანონმდებლო ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იქერს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის არაბულიდან, ნასესხები სიტყვები და გამოთქმები: "ამ დროს /XI-XII სს - დ.ბ./ არაბული სიტყვები უკვე ფართოდ იხმარებენ სხვა ტიპი, სპარსული და ბერძული ტიპი ქართულში შემოსვლას".[3]

აღმოსავლური ენებიდან სიტყვათა სესხების ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და საშუალი ქართული საერო-საკანონმდებლო ენის უკანასკნელ პერიოდში /XVII-XVIII სს/ მან განსაკუთრებული სიძლიერით მოიკიდა ფეხი.

6. უდავო ფაქტია, რომ "ძველი ქართული და ახალი /ალბ. საშუალი - დ.ბ./ ქართული წარმოადგენს ს ა ე რ თ ო ე ნ ო ბ რ ი ვ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს ვარიანტებს და არა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ს";[4] ახალი

---

1. იხ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 21-22.
2. იქვე, გვ. VIII; შრ.: გვ. 379-380.
3. ბ. ბ ე რ ე თ ე ლ ი, სპარსული ენები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ოსუ სამეცნიერო სესიათა მიხსენებების კრებული, თბილისი, 1947, გვ. 38. შრ.: Н.М в р р, Древнегрузинские одописцы, ТИР, IV, С.Петербург, 1902; ბ. ა ბ ერ ტ ნ ი ჯ ა შ ვ ი ლ ი, არაბული სიტყვების სპარსული ტიპი შემოსვლის შესახებ ქართულში, ოსუ შრომები, ტ. 105, 1965.
4. ალბ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 27.

/ ულუფ. სამუალი - დ.ტ./ ქართული ენა ძველი ქართულის შემდგომი განვითარებაა:"[1] ამიტომ ბუნებრივია, რომ სამუალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა და დამკვიდრება სრულიადაც არ წიშნავდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ხელოვნური უარყოფასა და უკუგდებას.

სამუალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ შემკვიდრეობით მიიღო და ნაწილობრივ შეინარჩუნა ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც, მაგრამ ამასთან ერთად ფართოდ გაუღო კარი საერთო-სახალხო, ცოცხალი სასაუბრო ენიდან და დიალექტებიდან მომდინარე ლექსიკურ-ტრამატიკულ ნეოლოგიზმებს, აბზორბირებულ ენებიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით. ნასესხებ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ XII-XVIII სს სალიტერატურო ენა გახდა ნარევი, მრავალფეროვანი და არამონოლითური: "ძველი სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა, ახალი ნორმები კი ძნელად მკვიდრდებოდა. სალიტერატურო ენა ალარ იყო ძველი ქართულის მსგავსად ნორმატიზებული, მისთვის დამახასიათებელი გახდა ფორმათა მრავალფეროვნება და ნაირნაირობა. მას მოკლდა ის დახვეწილობა, რაც ძველი სალიტერატურო ენისათვის იყო ნიშანდობლივი. სალიტერატურო ენაში სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი შესუსტდა და იგი დიალექტს დაუახლოვდა";[2] "რამდენადაც წიგნის ენა, ნებისმიერ უნებლიე, გარკვეული კუთხის სასაუბრო ენის თავისებურებებს ასახავდა, ამდენად, ეტყობა, მწერლობის ძეგლებში, რა ხასიათისაც უნდა ყოფილიყო იგი, თავი იჩინეს ცოცხალი, განვითარებაში მყოფი მეტყველების თავისებურებებმა, ოღონდ ისე, რომ არ გაწყვეტილა კავშირი ძველ ტრადიციასთან. მეორე მხრივ, შენიშნულია, რომ ყოველ გარკვეულ ეპოქას და ლიტერატურულ სკოლას თავისი სტი-

---

1. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის მოკლე სკოლა, გვ.21.
2. ივ. ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ი.ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, ოსე მრევლები, ტ. 69, თბილისი, 1958, გვ. 49. შდრ.: ბ ი ს ი ნ ე ე, ილია ჭავჭავაძისეული და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, ლიტერატურული გაზეთი, №40, 7.X, 1955; ბ ი ს ი ნ ე ე, ი.ტ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, გვ. 502.

ლი აქვს გრაფიკასა და ორთოგრაფიაში. ამიტომაც აიხსნება ის თავისებური სიჭრელე, რასაც ასე უხვად გვაწვდის XII-XVIII სს ქართული ენის სხვადასხვა ძეგლი როგორც გრამატიკასა და ფონეტიკაში, ასევე ლექსიკასა და გრაფიკა-ორთოგრაფიაში".[1]

ამრიგად, გრამატიკული ფორმათა წაიოწაირობა, ლექსიკური შემადგენლობის სიჭრელე, სამწერლო ენის წარეობა და არამიზანმიმართულობა საშუალი ქართული საალიტერატურო ენის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

§ 3. XVII-XVIII საუკუნეების, ე.ი. იმ პერიოდის საალიტერატურო ენა, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანი, "არსებითად... წინა ხანის, XII-XIV სს მწერლობის ენის ფესვებია შემცველია",[2] მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ "მწერლობის ენა XII-XVIII სს... არაა მთელად ამ ექვსი საუკუნის განმავლობაში ერთგვაროვანი, სხვადასხვაა დავით აღმაშენებლის სიკვდილისა და ანდერძების, აბუსერის ძე ტბელისა და ბასილი ეპოს მოძღვარის ხიტყვებია ან "ქართლის ცხოვრებაში" შემავალი ნუსხების ენა, ერთი მხრივ, და სულხან-საბა ორბელიანის, პაპუნა ორბელიანის, სეხნია ჩხეიძის ისტორიული ხიტყვებისა და დავით გურამიშვილის პოეზიის ენა, მეორე მხრივ."[3]

ამ პერიოდის /XVII-XVIII სს/ ქართული საალიტერატურო ენის ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ე ნ ო ბ რ ი ვ ი ნ ი შ ნ ე ბ ი ჯერჯერობით ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ა დ შესწავლილი და დადგენილი არაა, მოგვეპოვება მხოლოდ ზოგადი ხასიათის დაკვირვებანი და შენიშვნები, რომელთა ძირითადი შინაარსის გადმოცემასაც ქვემოთ შევეცდებით.

---

1. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 41. შდრ.: იქვე, გვ. 13-14; 27; ან. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 87; ფ. ე ლ ი ო ზ ი ვ ი ლ ი, ახალი საალიტერატურო ენის ისტორიისათვის, გვ. 15.
2. ვ. ფ ო ფ ხ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ. 23.
3. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 36.

1. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XVII-XVIII სს ქართული საერო-ლიტერატურო ენა მაქსიმალურადაა დაახლოებული საერო-სახალხო ენას, ხალხურ მეტყველებას. ფარდა მასშტაბით მიმდინარეობს საშუალო ენის დემოკრატიზაციის, გახალხურების პროცესი.

დავიმოწმოთ სათანადო ადგილები ქართველ ენათმეცნიერთა გამოკვლევებიდან:

"თუ საერო ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ძეგლების /"ვეფხისტყაოსნის", "ვისრამიანის", "აბირან-დარეჯანიანის"/ ენას ე.წ. აღორძინების ხანის საერო-ლიტერატურო ძეგლების ენას შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მწერლობაში საბოლოდ გზას იკაფავს საერთოეროვნული ენის სტრუქტურული ელემენტები და მრავალსაუკუნოვანი ქართული საშუალო ენა გადადგა დემოკრატიზაციის გზას".[1]

"ის ენა, - წერს ივ. ჯ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, - რომელიც ნიმუშები, ერთი მხრივ, ამ საუკუნის საქმიან - საკანცელარიო ანუ მდივან-მწიგნობრული სტილში გამოყენია, ხოლო, მეორე მხრივ, დავით გურამიშვილის პოეზიაშია წარმოდგენილი, მაქსიმალურადაა დაახლოებული საერო-სახალხო ენას და არსებითად იგივეა თავისი ტრადიციული წყობისა და ლექსიკური ფონდის მხრივ".[2]

არ. ტ ა ბ ლ ი ნ ო ვ ი ს აზრით, "წინა პერიოდის საერო მწერლობის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, ჩუსუდანიანი, სიბრძნე სიცოცხლისა, ფილოსოფიანი და ეიმუნაგ პირველის, არჩილის, ეიმუნაგ მეორის, დ.გურამიშვილის თხზულებები თავისებურია რიგრიგ შინაარსობრივი მრავალფეროვნებით, ისე ენობრივადაც. ამ ძეგლების ენა უფრო ახლოსაა ხალხურ-სასაუბრო მეტყველებასთან".[3]

---

1. შ.ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის ენა, გვ. 67. შდრ.: ი ს ი ვ ე მწერლის ენა, თბილისი, 1957, გვ. 168-169.
2. ივ. ჯ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ი.ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის საკითხები, გვ. 504.
3. არ. ტ ა ბ ლ ი ნ ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იქვე, ტ. VI, 1954, გვ. 87. შდრ.: იქვე, გვ. 90.

2. საკითხავია ენის მაქსიმალურად დაახლოებამ საერთო-სახალხო, ტოლ-ფასა სასაუბრო ენასთან. ამავისა მხრივ გამოიცვალა დიალექტიზმების მოყარება სამწერლო ენაში: "დიალექტური ფორმების უხვად შემოჭრა საკითხავია ენაში საკითხავია ენის ტოლფასი სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების, მისი გა-ხალხურების პროცესის პუნქტირი, მასთან მიუკიბელი შედეგი იყო";[1] "რუსუ-დანიანის", "სიბრძნე სიცრუისაგ", "ოიმსანიანის", ოეიმურაზ პირველის, არჩი-ლის, ოეიმურაზ მეორის ენაში ძირითადად იძლევა ძველი ქართული საეკლესიო დოგმატური ტრადიციები და ქართულ-ეროვნული მეტყველების საფუძველზე ფართო გზა აქვს გახსნილი დიალექტების მასალას".[2]

3. XVII-XVIII ს მხატვრულ ლიტერატურაში სხვადასხვა დიალექტური ჯგუფ-ებიდან მომდინარე მეტალური წარმოშობისანი ნაკადი "ამავისებულ დიოს ასეთმა მრავ-ალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ლიტერატურული ენის ნორმატიზაციას".[3]

დიალექტური ფორმების მოყარებისაგან ამავის დასაცავად და სამწერლო ენის მინიმალურობის აღსადგენად XVII-XVIII ს ქართულ საკითხავია ენაში შეინიშნება საკმაოდ ძლიერი მისწრაფება ლიტერატურაში გამოყენებულ ფორმათა არქაიზაციისაკენ: "მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების მწერლობაში ამის /დიალექტიზმების მოყარების - დ.ბ./ საწინააღმდეგო ტენდენციამ იჩინა თა-ვი: შეუშნიდეთ საკითხავია ენა, მაქსიმალურად ამავისუფალი დიალექტური ფორმებისაგან, თუნდაც საერთო დიალექტებიდან მომდინარე ფორმებისაგან. ამის ერთ-ერთ საშუალებად, ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ გზად საკითხავია ენაში ხმარებული ფორმათა ერთგვარი არქაიზაცია იქნა მიჩნეული. ეს არ ნიშნავ-და ძველი ქართულის აღდგენას ამავის უფლებებში, ეს შეუძლებელიც იყო. ამი-

---

1. ივ. ჯ ი ბ ლ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის: სულ-ხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, ოსუ გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 31.
2. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ენა და ლიტერატურა, გვ. 67.
3. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მწერლის ენა, გვ. 168.

სავალი ის ენა უნდა ყოფილიყო, რომელიც მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეების საერო მწერლობის ძეგლებშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს ენა უნდა გამდიდრებულიყო ამაკარა დიალექტური ფორმებისაგან და ამ გზით მას უფრო მეტად ერთიანი ნორმები შეექმნოდა. ამ მიზნითვე უნდა ფართოდ ყოფილიყო გამოყენებული ძველი ქართული მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა".[1]

4. აღორძინების ხანის ქართული საალიტერატურო ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მოვლენაა აგრეთვე უხვად ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ნასესხობათა მოძღვრება სამწერლო ენაში: "სპარსული და თურქული ენებიდან მიმდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი; ხშირად ისეთი სიტყვებიც ინერგებოდა, რომელთა ეквივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარემოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაქრობას და სამუდამო გაქრობას უქადდა, ქართულ საალიტერატურო ენას რომ არ ჰქონოდა დიდი ტრადიცია და მონაგები წინააღმდეგობა არ გაეწია ისეთი უხვიური ლექსიკური ელემენტებისადმი, რომლებიც ანაგვიანებდნენ ენას და რომელთა დანერგვას ქართული ენის მდიდარი ლექსიკონი არ მოითხოვდა".[2]

5. სამუალი ქართული საალიტერატურო ენის უკანასკნელ პერიოდში გამოკვეთილი იჩინა თავი სხვადასხვა ენობრივი სფეროს თანაარსებობამაც: "აღორძინების ხანის საალიტერატურო ენის საერთო სტრუქტურაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებული ენობრივი სფეროები. საეკლესიო ენის ტრადიციები, ანტიკური ენით დანერგილი სამეცნიერო ხასიათისანი, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ლიტერატურული ნაწარმოებები, ე.წ. სამუფოების ენა /რომელიც თავისებურ ადგილს იკავებს იმდროინდელ მწიგნობრულ ენაში/, - ყოველივე ეს ხელს უწყობდა სფეროების აღრე-

---

1. ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 32. შდრ.: შ. ძიძიგური, ქართული ენა და ლიტერატურა, გვ. 67; ივ. ყავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 13.

2. შ. ძიძიგური, მწერლის ენა, გვ. 169. შდრ.: ვ. თოფურია, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მნიშვნელობისათვის, კომ. აღმრეთისათვის, №10, 1959, გვ. 65.

ვას და ერთიანი საკულტურო ენის წარმოქმნის რეალობას".[1]

6. სპეციალურ ლიტერატურაში ასევე თუ ისევ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული XVII-XVIII სს სამწერლო ენის ადგილს შ ე ს ა ხ ებ ქართული საკულტურო ენის განვითარების ისტორიაში:

"ახალი საკულტურო ქართული ენა, -წერს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, - ჩაისახა XII საუკუნის საერო პოეზიაში /შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, მ ე ხ ო ტ ბ ე ბ ი/. მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე საუკუნეში მისი ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია /ს ა ბ ა ს "მოგზაურობა", დ. ბ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი/."[2]

"ახალი ქართული საკულტურო ენის საბოლოო ჩამოყალიბება არსებითად მე-17 საუკუნის პოლოსა და მე-18 საუკუნეში დამთავრდა".[3]

ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს აზრით, XVIII საუკუნისათვის დამთავრდა "ა ხ ა ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ებ ი ს ა თ ვ ი ს მ ო ს ა მ ზ ა დ ებ ე ლ ი პ რ ო ც ე ს ი /ხაზი ჩვენია - დ.ბ./... XII-XVIII სს ენა ეს თანამედროვე ქართულის წინადგომა".[4]

შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი დ.კურციკიძეს "დავითიანს" /XVIII ს/ ა ხ ა ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ი ს ა დ რ ი ნ დ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს წიმუშად მიიჩნევს: "დ.კურციკიძეს უკრწესინვალესი ნაწარმოები "დავითიანი" დაფუძნებულია ქართული საერო-სახალხო ენის ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე, იგი არსებითად ა ხ ა ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ენის ა დ რ ი ნ დ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს /ხაზი ჩვენია - დ.ბ./ ყველაზე დასრულებული და სრულფასოვნად სახეობას წარმოადგენს".[5]

---

1. შ.ძ ი ძ ი გ უ რ ი, მწერლის ენა, გვ. 169-170. შდრ.: ივ. ბ ე ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დ.კურციკიძეული და ახალი ქართული საკულტურო ენა, ლიტერატურული კაკბეი, №40, 7.X, 1955.
2. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, წიწასტოლოგია, ტომი, ტ.I, გვ. 008; შდრ.: ბ ი ს ი ვ ე, ახალი ქართული საკულტურო ენის წარმოქმნისათვის, იქვე, გვ. 019.
3. ივ. ბ ე ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 31. შდრ.: ბ ი ს ი ვ ე, ი.ქავქავაძე და ახალი ქართული საკულტურო ენა, ფსუ შრომები, ტ.69, 1959, გვ. 49.
4. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 36.
5. შ.ძ ი ძ ი გ უ რ ი, ენა და ლიტერატურა, გვ. 68.

ამიტ ეამიავრეტი საშუალი ქართველისა და, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის /XVII-XVIII სს/ ქართული საეკლესიო ენის ნიშან-ფისებაზეა მიტადმიმოხილვას. ეს მოკლე ისტორიული ექსკურსი დახმარებას გაგვიწევს, რომ, ერთი მხრივ, უკეთ გავერკვეთ სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ მხწველებაზეა ენის ფავისებურებებში, ხოლო, მეორე მხრივ, წათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დიდ ღვაწლსა და დამსახურებაზე, რომელიც სულხან-საბას მიუძღვის ქართული საეკლესიო ენის გაფვითარების ისტორიაში.

მ ო კ ლ ე ც ნ ო ბ ე ბ ი ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს წ ა ნ ა რ მ ო ე ბ ი ა ს ა ა ნ ა ლ ი ზ ი ფ ე ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

§ 4. ფემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის დრის საანალიზოდ ვიყენებდით მხატვრულ წარმოებას იმ ტექსტებს, რომლებიც დაბეჭდილია სულხან-საბა ორბელიანის ხხზველებაზეა ოთხტომეულში.[1] ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრებია: ირ. ა ბ ა შ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვ. ფ ი ნ დ ო ა, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გ. ლ ე ო ნ ი ძ ე და ა.შ ა ნ ი ძ ე. როგორც გამოცემლობა გვაუწყებს, "გამოცემას აქვს მეცნიერული ხასიათი, იგი ემყარება ყველა ხელნაწერ პირველწყაროს".[2]

გარდა ზემოთ აღნიშნული ტექსტებისა, გაცალკევებულ მივებარაგდით ხელნაწერებსაც და ადრინდელ ბეჭდურ გამოცემებსაც.[3]

§ 5. "სიბრძნე სიცრუისა" დაბეჭდილია ოთხტომეულის I ტომში /გვ. 7-150/. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო

---

1. ოთხტომეულის 1 ტომი გამოვიდა 1959წ., II_1 და II_2 - 1962წ. III_1 - 1963წ., IV_1 - 1965 წ. IV_2- 1966წ.
2. სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ხხზველებანი, ტ. I, თბილისი, 1959.
3. დაბეჭდილებიდან ცნობები ს.-ს. ორბელიანის ხხზველებაზეა ხელნაწერებისა და ადრინდელი გამოცემების შესახებ წარმოდგენილია მ. ჯ ი ფ ა უ ლ ი ს ნაშრომში "ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ანოტირებული ბიბლიოგრაფია /1658-1958 წწ./, თბილისი, 1960, გვ. 7-41.

სუბანეიშვილმა. ლექსიკონი შეადგინეს ბ. საბაშვილმა, მ. ყაბაშვილმა და პ. გაჩეჩილაძემ /გვ. 317-361/. რედაქტორია გ. ლეონიძე.

"სიბრძნე სიცრუისა" ავტოგრაფული ხელნაწერის ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს ტექსტი ძირითადად ემყარება მე-18 საუკუნის ექვს ფარიზიან ხელნაწერს. ესენია: Q 744/β3047 /ლიტერა A /, A 1166 /ლიტ. B /, H 180 /ლიტ. E /, A 860 /ლიტ. C /, ვ.ი. ლ ე ო ნ ი ს სახელობის სსრკ მიბლიოთეკის ხელნაწერი M 4 /ლიტ. Д / და β 1528 /ლიტ. F /.[1]

გარდა სულხან-საბა ორბელიანის მხგულებაისა პირველ ტომში დაბეჭდილი ტექსტისა /1959 წ./, არსებობს "სიბრძნე სიცრუის" კიდევ რამდენიმე სრული გამოცემა: დ. ჩუბინაშვილისა /1849/, პ. უმიკაშვილისა /1871, 1881/, ნ. მოვარელიშვილისა /1892, 1903/, გ. ლეონიძისა /1928/ და ს. ინრდანიშვილისა /1957/.

მოგვეპოვება "სიბრძნე სიცრუის" ფარგმანები მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.[2] "იგავ-არაკთა შინაარსობრივი ტიპებიდან, - წერს კ. კეკელიძე, - სენტენცია - აფორიზმების სიუხვით "სიბრძნე სიცრუისა" იგავარაკული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბითაც, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ის დღეს სხვა ენებზეცაა ცნობილი; არსებობს მისი შემდეგი ფარგმანები: რუსული აკადემიისა - Книга мудрости и лжи, 1878წ. ეს რედაქცია გამოქვეყნდა ფარიზში 1939წ.

---

1. ცნობები ამ ხელნაწერთა შესახებ დართული აქვს სულიან-საბა ორბელიანის მხგულებაისა I ტომს /ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები და ვარიანტები: ს.-ს. ორბელიანი, მხგულებანი, ტ. I, გვ. 253-280/.
2. მ. ჯ ი ფ ა ო ვ ი, ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ანოტირებული ბიბლიოგრაფია /1658-1958 წწ./ გვ. 42-45.

ს. ორბელიშვილისა და ი.ციცისკიანოვის მიერ. მეორე რუსული თარგმანი შესრულებულია ე.ლიფშიცის მიერ /О мудрости вымысла, Москва, 1948,1951гг./.1 ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ო. უ ო ტ ერ ს The book of Wisdom and Lies, ლონდონი, 1894/, გერმანული - მ. ბუბერს Die Weisheit der Lüge, ბერლინი, 1923/, ნაწილობრივი თარგმანი ჟ. მეზიესი არსებობს ფრანგული ენაზეც /1885 წ./. უკანასკნელ წლებში თხზულება ითარგმნა უნგრულ, უკრაინულ, სომხურ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე".2

ზ ნ. სულხან-საბა ორბელიანის მეორე ნაწარმოებიც "მოგზაურობა ევროპაში" დაბეჭდილია ოთხტომეულის I ტომში /გვ. 151-245/. ტექსტი ქართულად მოამზადა, ვარიანტები, საძიებელი და შენიშვნები დაურთო ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ე მ. ტექსტს თან ახლავს ბ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს, მ. ყ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს და პ. ტ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ი ს მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ჩვენამდე არც ამ ნაწარმოების ავტოგრაფული ხელნაწერის მიუღწევია. "სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობის წინამდებარე ტექსტი, - წერს ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ე, - ითვალისწინებს 6 ხელნაწერს. ეს წიგნი ქართულად /1940 წ./ დაიბეჭდა სიფლინ ი ო ნ ტ ო ნ ი ს ხელით ჭეშმარიტ ორი ხელნაწერი /ხელნაწერია ინსტიტუტის H -759; H -97/, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გავეცნოთ კიდევ დამატებით 4 სხვა ხელნაწერს. ესენია: 1. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის N271, 2. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის H-69 /ჩვენს განკარგულებაში იყო ხელნაწერის ფოტოასლი/; 3. სალარიძეების სახ. არქივის ქართული ხელნაწერთა ფონდის N1; 4. აკად. ციურჩი ლონდონის მიერ გადმოცემული ხელნაწერი, რომელიც ორბელიანის ოჯახიდანაა გამოსული. ის ჩკუთვნებია ერთ დროს სარდარ დავით ორბელიანს... ახალმა ხელნაწერებმა მოგვცა საშუალება გავესწორებინა აქამდე არსებული ტექსტის /1940 წ./ ორთოგრაფიამდე წაკითხვა".3

---

1. ეს თარგმანი გამოიცა ავტორეფ 1960 წ.: Сулхан-Саба Орбелиани, Мудрость вымысла, перевод с грузинского Б. Г о т о б е р и д з е, под редакцией Г.Н. Л е о н и д з е и Е.Г.Л у н д б е р г а ,Тбилиси,1960.
2. ა. ბ ე ნ ი ა ნ ი ,ს ულ ხ ან-საბა ორბელიანი: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II, თბილისი, 1966, გვ. 463.
3. ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ე, მოგზაურობის ტექსტისათვის: ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 311.

"ევროპაში მოგზაურობის" ტექსტი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. "ცისკარში" /1852, № 1, გვ. 1-16; №2, გვ. 17-31; №3, გვ. 32-65; №4, გვ. 45-81/. შეორედ გამოსცა ს. ორბელიანმა /1940 წ./.[1] ოხტოლეულის I ტომში დაბეჭდილი ტექსტი /1959 წ./ რიგით მესამე გამოცემაა. 1969 წ. გამოქვეყნდა "ევროპაში მოგზაურობის" რუსული თარგმანიც, შესრულებული ფ. ფავლოვაძის მიერ.[2]

§ 7. "სიბრძნე სიცრუის" უკანასკნელი ბეჭდური გამოცემის აკვარეიანობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული შ. ჩიჯავაძეს.[3] ძველის წინანდელი გამოცემების, ძირითადი ხელნაწერებისა და სხვა მასალების შესწავლა-გამოყენების საფუძველზე იგი მიგან

ღონე არ მქონია, კარგად მ ი ვ ე ყ რ ნ ე ნ /უ.ი. - მ ი ვ ე ყ რ ე ნ, იქვე, გვ. 335/: ს. 100, 33.

რა აქიმმან მ ი ს ი შ ვ ი ლ ი /უ.ი. - ი ლ ი ჭ ა ბ უ კ ი, იქვე, გვ. 336/ ძელზე დაკიდებული წახა, ჰქმნა ტრძნება: ს. 109,20.

შუადღისას დ ა ი ძ ა ხ ა კ ა ლ ი /უ.ი. - დ ა ა ძ ა ხ ა კ ა ლ ი, იქვე, გვ. 340/ და ილი ფლური უქადა: ს. 103,11;

მრავალი სცეს ფავი გაუგებეს და გააძევეს /უ.ი. - გ ა ა ძ ე ს, იქვე, გვ. 342/: ს. 138,1.

ავდეგ მაშვრალი, ბღვის ღელვისაგან დ ა ღ ღ ი ლ ი /უ.ი. - დ ა ვ ღ ი ლ ი IV დ ა ხ ღ ი ლ ი, იქვე, გვ. 346/: ს. 94,2.

ყოველ"მამის მონაგები სრულებით გ ა ნ ტ ა ა გ ტ ი /უ.ი. - გ ა ნ ტ ა ა გ ი/: ს. 50,15.

მუნვე წამალი შ ე ვ ა გ ე ბ ე /უ.ი. - შ ე ვ ა გ ბ ე, იქვე, გვ. 358/, რა ფავი მოჰყვეთეს მას კაცს, იგი წამალი ყოას ჩაეასხი: ს. 97,8.

ჩემოდენი ჭირი, ლხინი, უცხო ოემი, საკვირველი საქმენი არავის უ ნ ა ხ ა ვ ან /უ.ი. - უ ნ ა ხ ვ ა ნ, მე-2 წაბრ., გვ. 286/: ს. 83,9.

ესოდენი ვის ექნება ეს ნ ე ფ ი ს /უ.ი. - ე ს ე ნ ფ ი ს, იქვე, გვ. 291/ ნიგის ფასი ოდოოსო: ს. 146,2.

ხუთნი ამხანაგნი იდგნენ და ბევრს კაცს ა გ ი ა ნ ე ბ ე ნ ე ნ /უ.ი. - ა გ ი ა ნ ე ბ ე ნ ე ნ, იქვე, გვ. 291/: ს. 116,24.

შენ ბევრს გ ა ბ ი ე ა ვ /უ.ი. - გ ი ბ ი ე ა ვ, იქვე, გვ. 291/ და არას განაღლებ: ს. 58,20.

. . . . . .

შენიშვნებში, ჩიტლებიც ბან ერეკვის "სიბრძნე სიცრუის" ტექსტს, ნაოქვამია: "ერთნაირი პრინციპის დაცვის მიზნით, ტექსტში შევიტანეთ ბოლო ერთი ორთოგრაფიული ცვლილება, ოდოოლაა: ნ-ს ს-ად შეცვლა. მაგ. მბგაცსი-

მსგავსი; ა-ი, მაგ. მავიდა - მოვიდა; პირველი პირის სუბიექტური ნიშნის აღგენა, მაგ. უფარ-ეუფარ და სხვ".[1] ამასთან დაკავშირებით შ. ჩ ი ხ ა ვ ა ძ ე სამართლიანად აღნიშნავს, რომ "სულხან-საბას, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და სხვების ხელნაწერებია არც ერთ ხელნაწერსა თუ აღმოჩენილში არსად არ მოიპოვება თუ ხმოვნის წინ პირველი პირის ნიშანი, სულხანის ტექსტში ამ ნიშნის შენახა თ ხმოვნის წინ ქართული ენის ისტორიისათვის შეუსაბამოა".[2] საერთოდ, გამოსაცემ ტექსტში ასეთი შესწორებების შენახვა სიფრთხილესა და დაკვირვებას მოითხოვს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული: " Исправления могут только выявлять затемненный механическими ошибками текст, но не улучшать его, не создавать "сводный" или реконструированный текст".[3]

2. როგორც ზემოთ დასახელებულ ნაშრომებზე დაკვირვება გვიჩვენებს, შ. ჩ ი ხ ა ვ ა ძ ე მიხვრა იმისა, რომ ნიხვეს "სიბრძნე სიცრუის" ტექსტში დადასტურებული პარალელური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების უნიფიკაცია, გაერთიანება, საერთო გრამატიკულ ნიშნებზე დაყვანა: "ანგარიშგასაწევია ერთი საყურადღებო მოვლენა, - წერს იგი, - რომელიც კარგა ხნის წინათ აღნიშნეს აკადემიკოსმა აღ. ბარამიძემ და ცნობილმა მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ, სულხან-საბა ორბელიანის ენას ახასიათებს ორთოგრაფიული სიჭრელე, ერთი და იგივე სიტყვის ორსაირი ფორმით ხმარება /ენა-ქნა, უბრძანა-უბძანა, ჩუენ-შუენ, მსგავსი-მზგავსი, ჰგავს-ყავს და სხვ./, რაც შეუწყობელად ყველა მწერლის ენაში გვხვდება, მაგრამ სულხან-საბას ავტოგრაფულ ძეგლებში კარგად ჩანს, თუ მის მიერ ხმარებული სიტყვის

---

1. ს.ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სიბრძნე სიცრუის ტექსტისათვის, გვ. 259.
2. შ. ჩ ი ხ ა ვ ა ძ ე, "სიბრძნე სიცრუისას" ტექსტის დადგენისათვის, გვ. 285.
3. Д.С. Л и х а ч е в, Текстология, Москва-Ленинград, 1964, გვ. 87.

ორ ფორმაში რომელია გაბატონებული და რომელს ხმარობს ისე იშვიათად, რომ ესა თუ ის ფორმა კალმის შეცდომადაც კი შეიძლება ჩაითვალოს /რაც.: მზეკა-ვსი, სვლა და სხვ./. სიტყვათა ორფორმიანობა სულხანის ხიბულებების ტექსტის გადაწერისას არ არის გარდაუვალი დაბრკოლება, რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მწერალი თვითონვე გვაწვდის "სიტყვის კონის" ავტოგრაფში მის მიერ ორნაირი თუ ერთი ფორმით წახმარი სიტყვების გარჩევებს. ამით უფლება და საშუალება გვეძლევა დავადგინოთ სიტყვათა ის ფორმები, რომელთაც სულხანი მართებულ ფორმებად თვლიდა და რომელთა არსებობა ავტოგრაფულ ტექსტში უფრო მეტად არის საგულისხმო".[1]

ამის მიხედვით ავტორი მოიხსენებს, შემდეგი პარალელური ფორმებიდან: ს ვ ლ ა // ს ლ ვ ა, ძ რ ი ხ ა // ბ რ ი ხ ა, გ ა მ ბ ვ ნ ი ლ ი // გ ა მ ბ ვ ნ ი ნ ე ლ ი, ს ტ ხ ვ ე ნ ი ს // ნ ტ ხ ვ ე ნ ი ს, ს უ ლ ი ბ ი თ // ს ნ უ ლ ი ბ ი თ, უ ბ ვ ნ ი ნ ა // უ ბ ვ ნ ი ა, ვ ი ძ ა ხ ლ ი // ვ ი ბ ა ხ ლ ი, მ ბ ნ ე ლ ი // ბ ნ ე ლ ი, ნ ა ლ ვ ე ლ ი // ნ ა ვ ლ ე ლ ი, ნ ძ ა ლ ი // ს ძ ა ლ ი, ლ ი ა ლ // ლ ი ა ხ // ლ ი ა, ი ქ მ ნ ს // ი ქ ს და სხვ. ტექსტში დავადგინოთ მხოლოდ ერთი, სახელობრ: სლვა /1-ლი ნაბრ., გვ. 332/, ბრიხა /იქვე, გვ. 334/, გამბვნილი /გვ. 341/, ნტხვენის /იქვე, გვ. 340/, სნულობით /იქვე, გვ. 343/, უბვნია /იქვე, გვ. 344/, ვიბახლი /იქვე, გვ. 351/, ლნელი /იქვე, გვ. 359/, ნავლელი /მე-2 ნაბრ., გვ. 231/, სძალი /იქვე, გვ. 284/, ლია /იქვე, გვ. 288/, იქს /იქვე, გვ. 290/ და მრავალი სხვ.

ვფიქრობთ, ავტორის ეს მოხსენება არაა საეჭვოობანი: სიტყვათა ნაირნაირი ფორმებისა და პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება - ესაა საშუალი ქართული საliტერატურო ენისა და, კერძოდ, საბასიერონდელი

---

1. შ. ჩ ი ხ ა ვ ა ძ ე, "სიბრძნე სიცრუისაგ" ტექსტის გადაწერისათვის, გვ. 279-280.

სამწერლო ენის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, ამიტომ პარალელური გრამატიკული ფორმების უნიფიკაცია, გაერთიანება - ეს იქნებოდა სულხან-საბა ორბელიანის ენის ერთ-ერთი უმთავრესი სპეციფიკური ნიშნის მივიწყება და უგულებელყოფა.

ე. სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუის" ტექსტის დადგენისა და ამ წაბაძვებში დადასტურებული პარალელურ ფორმათა უნიფიკაციის დროს ავტორი გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს ამჟღავნებს არა თვით "სიბრძნე სიცრუის" პირველხელისხლად წესხლია წაკითხვებს, არამედ "ქართული ლექსიკონისა" და "ქილილა და დამანას" ავტოგრაფული ხელნაწერთა მონაცემებს: "ს.-ს. ორბელიანის იყავ-არაკთა ტექსტის დადგენისათვის, - წერს იგი, - გადამწყვეტი ის კი არ არის, როგორი ფორმით /თუ ფორმებით/ გვაქვს დაკვირვების ობიექტად ქცეული სიტყვა ან ფრაზა - თუნდაც ხხუელების პირველხელისხლად ხელნაწერებში, არამედ ის, თუ როგორი ფორმით არის შეტანილი და როგორი განმარტება გვაქვს მათ შესახებ საბას "ქართული ლექსიკონის" ავტოგრაფში, აგრეთვე ისიც, თუ როგორ არიან ისინი წარმოდგენილ მწერლის სხვა ხხუელებთან ავტოგრაფებში, მაგალითად, "ქილილა და დამანას" საბასეული ვერსიაში".[1]

ჩვენი აზრით, გამართლებული არაა, "სიბრძნე სიცრუის" ტექსტის დადგენისას გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მივანიჭოთ "ქილილა და დამანასა" და "ქართული ლექსიკონის" თუნდაც ავტოგრაფულ წესხებს და არა თვით "სიბრძნე სიცრუის" პ ი რ ვ ე ლ ხ ა ლ ი ს ხ ლ ო ვ ა ნ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ს. ეს ისევ უდავო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ აქ ამის შესახებ სიტყვას ალარ ვანვავრძობ.

მეორე მხრივ, "სიბრძნე სიცრუის" ტექსტში დადასტურებული პარალელურ ფორმათა უნიფიკაციისათვის, ვფიქრობთ, ძნელი საქმეა მივმართოთ "ქილილა

---

1. შ. ჩ ი ქ ა ვ ა ძ ე, ტოკიერი შენიშვნა "სიბრძნე სიცრუისას" ტექსტის დადგენისათვის, გვ. 331.

და დამანას" ან "ქართული ლექსიკონის" ავტორებისა მონაცემებს; ძნელია იმიტომ, რომ სიტყვათა ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციებისა და ცალკეული ლექსიკური ერთეულების გამოყენების მხრივ ამ ნაწარმოებებსაც ისეთივე სიჭრელე და მრავალფეროვნება ახასიათებს, როგორც "სიბრძნე სიცრუის" ტექსტს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლებოდა უამრავი მაგალითი მოგვყვანა, მაგრამ ერთისა და ადგილის ეკონომიის მიზნით, უმჯობესია, მივმართოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მოსაზრებებს:

"ქილილა და დამანას" სამასალეო ავტორებს ისევე, როგორც ამავე ხანის სხვა ძეგლებს, გრამატიკულისა და მართლწერის თვალსაზრისით, დიდი სიჭრელე ახასიათებს. ხშირია სამას ავტორებში პარალელური ფორმების ხმარება, როგორიცაა: მეკარე // მეკრე, ერთმანეთი // ერთმანერთი, ჰაერი // აერი, ქმნა // ქნა, ჭკვა // ჭკუა, ხმალი // ხრმალი, ყმა // ყრმა, ანაგრეული // ანასდეული, წუწუბა // წუმბუბა, სუნელება // სუნნელება, ფარშმაკი // ფარშმანკი, ს

// სვლა, საჭმელი // საკძელი, ცხორება // ცხოვრება და სხვა მრავალი. დამწერლობის ერთგვაროვნებას სამა არ იცავს არც პირთა და გეოგრაფიულ სახელებში. პარალელური ფორმები გამოცემაში უცვლელად არის დაფიქსირებული".[1]

ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს აზრით: "ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ა თ ა ე ნ ა და ს ტ ი ლ ი არ ა ა ე რ თ გ ვ ა ვ ა ნ ... /ხაზგასმა ჩვენია - დ.ბ./ ლექსიკონში გამოყენებულია, ერთი მხრივ, ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები, რომლებიც ძველ ქართულსაც ჰქონდა და სამასდროინდელ ქართულსაც, ხოლო, მეორე მხრივ, არაერთი ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო მწერლობაში წახმარი სიტყვა და ტერმინი. უკანასკნელი რიგის სიტყვათა გამოყენებისას სამა რიგ შემთხვევაში სიტყვის მიმართავს ძველ წყაროებიდან, რიგ შემთხვევაში კი თავისივე სიტ-

---

1. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ.II, 1962, აღ. მ ა რ ა მ ი ძ ი ს და ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, გვ. 317.

ყველაფერ განმარტავს. ამ შემთხვევაში საბას ენა და სიტყვა მისი წყარეების ენისა და სიტყვის შესაბამისია, მაშინ, როცა პირველი რიგის სიტყვების განმარტებაში ახალი ქართულია შესრულებული, მარტივი, გასაგები ენითა და ვირტუოზულად სხარტი და ეკონომიური სიტყვით".[1]

მ. ჩ ი ხ ა ვ ა ძ ი ს წაშრომებში აღძრული სხვა საკითხებს აქ ვეღარ შევეხებით. საერთოდ, დარწმუნებული ვართ, რომ ავტორის შენიშვნათა დიდი უმრავლესობის გაზიარებისწინება და კრიტიკულად გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს "სიბრძნე სიტყვისა" ტექსტის საბოლოდ დადგენის საქმეს.

სულხან-საბა ორბელიანის ხხუელებია უკანასკნელი გამოცემის საკითხებს ეხება აგრეთვე ლ. ჭ ო მ ბ ო რ ი ძ ი ს მიერ გაკ. "თბილისის უნივერსიტეტში" გამოქვეყნებული წერილიც.[2] ავტორი ყურადღებას ამახვილებს, კერძოდ, "ევროპაში მოგზაურობის" ტექსტზე. "უკანასკნელი გამოცემა, - წერს იგი, - რასაკვირველია, გაცილებით უკეთესია შესრულებული. ჩვეულებრივ გამოიცემა რამდენიმე ხელნაწერი და შედარებით უკეთ გამარჯვა ტექსტი. მაგ ისარგებლა დავით ჩიქოვანისეული ნაკლული წესით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გამოცემა "ცისკარში" გამოქვეყნებული მასალა. ამის გამოყენებით კი იგი უფრო უკეთ დაადგენდა ტექსტს".

ავტორს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იკითხება ზოგიერთი ადგილი "ევროპაში მოგზაურობის" უკანასკნელ გამოცემაში და როგორია წარმოდგენილი იგი "ცისკარში":

1. ითას შორი-შორ ტორა იყო ამოსული. ორივ ერთმანერთს ეკანდენენ: მ. 160,33.

შერ.: ითას დაცილებით შორი-შორ ი ო ი ტორა იყო ამოსული. ორივ ერთმანერთს ჰკვანდენენ /"ცისკარი", 1852, №1, გვ. 2/.

---

1. ივ. ჭ ი ტ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 34.
2. ლ. ჭ ო მ ბ ო რ ი ძ ე, მცირე შენიშვნები, გაკ. "თბილისის უნივერსიტეტი", 29. III, 1968, №11. /750/.

2. მუსუ რიშარ და სინორ დომინიკის ხმელეთი რ ო მ წავიდნენ, ვაივადამაც ფისი გაგზავნა: მ. 161,16.

შერ.: მუსუ რიშარ და სინორ დომინიკის ხმელეთი რ ო მ ს წავიდნენ /"ცისკარი", იქვე/.

3. ერთის ეკლესიის ქება ფქვეს, იმაში ერთი ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა ი, მისი ბ რ ა ვ ე ბ ი ი ოხმოცი ათას სკუდად გაკეთებულია: მ. 221,25.

შერ.: ერთი ეკლესიის ქება ჰსფქუეს, იმაში ერთი ს ა კ ვ რ ხ ვ ე ლ ი ა ი, მისი ბ რ ა ვ ე ბ ი ი ოხმოცი ათას სკუდად გაკეთებული /"ცისკარი", იქვე, გვ. 27/.

4. ორი, ოთხი აბაგის ლოლი იქნებოდა, ბეჭედი, ს უ რ ა ს ა. დ ი დ ი ს ხ ვ ა, მ უ რ ა ს ა. ტულსაკიდი დიდის ფვალებია: მ. 234,35.

შერ.: ორი ოთხი აბაგის ლოლი იქნებოდა, ბეჭედი მ უ რ ა ს ა დიდი, ს ხ ვ ა მ უ რ ა ს ა, ტულსაკიდი დიდის ფვალებია /"ცისკარი", 1852, N4, გვ. 66/.

5. ორსავ ბანზე სრული გარბაგნები წამოიბნევეს. მერმე ისინი ერთს ამ ციხიდან გამოაგდებენ, მეორეს იმ სხვიდამ მოკვიანიდ ისროდენ. მაგ ფ ვ ა ლ ს ა ც დაასწრებდა კაცი. მე ორმოცდა ათამდე ვფვალე და წამოველ: მ. 238,17.

შერ.: ათას ფ ვ ა ლ ს ა ც დაასწრებდა კაცი. მე ორმოცდაათამდის ვფსფვალე /"ცისკარი", იქვე, გვ. 71/.

6. ციხეს მოშორებით ბ ე ვ ა ჩაადგეს: მ. 239,31.

შერ.: ციხეს მოშორებით ფ უ ბ ა ჩაადგეს /"ცისკარი", იქვე, გვ. 73/.

7. მე ოან სამი ბ ა ტ ა რ ა კაფეჩინი ბაილისის ქალაქისაფვის და ერთი პატრი ივეზოვიანი შირვანისაფვის მომიყვანენ: მ. 243,21.

შერ.: მე ოან სამი ბ ა ტ რ ი კაფეჩინი ტფილისის ქალაქისაფვის და ერთი პატრი ივეზოვიანი შირვანისაფვის მომიყვანენ /"ცისკარი", იქვე, გვ. 70/.

"ჩვენ მიერ დამოწმებული მოგიერთი ფრაგმა, - წერს ავტორი, - სწორად იკითხება ს. ირბანიშვილისეულ გამოცემაში. სასურველი იყო "მოგზაურობის" ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული დადგენისას ამ გამოცემას მეტი ყურადღება დათმობოდა".

ლ. ყ უ მ ბ ა რ ი ძ ი ს წერილში წარმოდგენილი შენიშვნები და შესწორებები დავას არ იწვევს. ყველა მოგზაური მისაღები და გასათვალისწინებელია "ევროპაში მოგზაურობის" ტექსტის შემდგომი გამოცემისას.

დასასრული, კიდევ ერთიდე შენიშვნა:

არც "სიბრძნე სიცრუისა" და არც "ევროპაში მოგზაურობის" ტექსტზე დარჩული ვარიანტები სრული არაა. "ვარიანტებში ხელნაწერია ისეთი წაკითხვები შევიტანეთ, - წერს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, - რომლებიც შინაარსობრივ სხვაობას იძლევიან ძირითად ტექსტთან შედარებით ან მნიშვნელოვან მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებას ავლენენ".[1] ვფიქრობთ, ვარიანტების შედგენის დროს ძნელი გასათვალისწინებელია, თუ ძველის შემდგომი შესწავლისა და ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის რომელი წაკითხვა იქნება მნიშვნელოვანი და რომელი - უმნიშვნელო. ამიტომ ჯობია, რომ ვარიანტები, რაც შეიძლება, სრული და ამოწურავი ყოფილიყო.

ტექსტებზე დარჩენილ შენიშვნებში უფრო ვრცლად და სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ცვლილებებია შეტანილი უკანასკნელ გამოცემებში ხელნაწერებთან თუ წინა გამოცემებთან შედარებით. ამ მხრივ, გამოცემულები ჩ ო გ შ ე მ ი ხ ვ ე ვ ა შ ი მხოლოდ ზოგადი მითითებით კმაყოფილდებიან. ასე, მაგალითად, "მოგზაურობის" ტექსტზე დარჩენილ შენიშვნებში ნაჩვენია, რომ ახალ ხელნაწერებზე დაყრდნობით შესწორებულია ს. ირბანიშვილისეული გამოცემის /1940 წ./ ორთოგრაფიამდე წაკითხვა.[2]

---

1. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სიბრძნე სიცრუის ტექსტისათვის, გვ. 259.
2. რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, "მოგზაურობის ტექსტისათვის", გვ. 311. შდრ.: ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სიბრძნე სიცრუის ტექსტისათვის, გვ. 259.

მაგრამ არაფერია ნაძღვანი, სახელდობრ, რა შესწორებები იქნა შეტანილი ტექსტში და რის საფუძველზე.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისა, როგორც "სიბრძნე სიცრუის", ისე "ევროპაში მოგზაურობის" კანონიკური გამოცემა უფუძო ნიშ გადადგმული ნაბიჯია მათს ადრინდელ გამოცემებთან შედარებით. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს, სულხან-საბა ორბელიანის ენის თავისებურებათა შესწავლის დროს, თუმცა გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ბიჯი ქართველი მწერლის ხელნაწერთა ისტორიულში დაბეჭდილ ჩვენთვის საინტერესო ტექსტებს.

"სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" ენის შესწავლის ისტორიიდან

§ 8. სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. საფუძვლიანად არის შესწავლილი მწერლის მიოგრაფიის, ლიტერატურული მიღვაწეობისა და ლექსიკოგრაფიულ-მეცნიერული მუშაობის მრავალი კარდინალური საკითხი, მაგრამ, საერთოდ, სულხან-საბა ორბელიანის ხელნაწერებისა და, კერძოდ, "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" ენა და სფერო დღემდე ვრცელი მონოგრაფიული კვლევა-ძიების ობიექტად არ ქცეულა. ამ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში მოგვეპოვება ზოგადი ხასიათის დამონაცემები და ცალკეული გამოკვლევები, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავ. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟამად ვერ ვიმედოვნებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მ ი ს ა გ რ ე ბ ა თ ა მხოლოდ ფ ი ქ ს ა ც ი ი თ და ჩვენთვის საინტერესო ნაშრომთა ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ს გ ა დ მ ო ც ე მ ი თ, რაც შეეხება მოყვანილი მოსაზრებისა და დებულების კ რ ი ტ ი კ უ ლ შ ე-

ფ ა ს ე ბ ა ს, ეს წარმოდგენილ იქნება ტაბულაში - სადისერტაციო ნაშრომის მიმდევნო თავებსა და დასკვნიან ნაწილში.

§ 9. "ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს" ენის საკითხს პირველად შეეხო დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. მისი აზრით, ეს ნაწარმოები დაწერილია წ ი ნ დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი ე ნ ი თ: "Сибрдзане сицрувис згапари, т.е. сказки мудрости и лжи - вроде поучительных басен. Они написаны Саввою в молодости, ч и с т ы м п р о с т о н а р о д н ы м я з ы к о м /ხაზი ჩვენია, - დ.ბ./ по образцу басен и эпологов индейских".[1]

ა. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს შეხედულებით, "საბა ორბელიანს ბრაბრისა კითი უწერია თავის "სიბრძნე - სიცრუის წიგნში"... " ოღონდ ეს მრავალის წიგნისა ძველი ენაა და ბევ ადგილებში თითქოს ძალიან გამახინჯებულია, ბაგრამ ეს წაკითხვანება ისე ხშირი არ არის, როგორც პირველად ფიქრობენ; ძალიან ხშირად საბა მარტივის, ჩვენი სასაუბრო ენიდან სწორს და ამიტომ ძალიან უახლოვდება სახალხო ენას; ამიტომაც ხალხისათვის ძალიან გასაგებია და კიდეც გავრცელებულია ეს წიგნი. ენის აღნაგობა, ენის კილო მრავალგან ნამდვილი ხალხისაა, ნამდვილი ქართული, სხარგი სიტყვა, მოკლედ გამოთქმა აზრისა - ნამდვილი ხალხისაა. მრავალსიტყვაობა და გაჭიანურება საბას არ უყვარს; აზრი მოკლეა და ძლიერია აქვს გამოხატული... ამის გამო სიბრძნე სიცრუის წიგნის ენა შეიძლება ბევრჯელ ქართული ენის ნიმუშად მოიყანოს კაცმა და ქართული ენის სწავლებაში საბას წიგნს იმისთანა ადგილი უნდა ეჭირის, როგორც რუსულის სწავლებაში კრილოვს უჭირავს, რასაკვირველია, ბევრი ადგილებს გარდა, ძველ ენის სწავლასაც დაეხმარება ყველანაირად".[2]

---

1. Д. Чубинашвили, Известия о грузинских книгах, из которых выписки вошли в состав хрестоматии. - წიგნსაცავებში წიგნისა: ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულად წერილთაგან დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ.I, სანკტ-პეტერბურგი, 1846, გვ. II.

2. წ ი გ ნ ი ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს ა, ოქროული სულიან-საბა ორბელიანისაგან, გამოცემა მეორე, სრული, პეტრე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა, ტფილისი, 1871, გვ. X, XIII-XIV.

ალ. ც ვ ე ტ ა ე ლ ი ს აზრით, "В авторе /იგულისხმება "სიბრძნე სიცრუის" ავტორი - ს.ს. ორბელიანი, - რ.ბ./ виден опытный писатель, желающий и умеющий производить впечатление на читателя, где сжатостью и силою выражений и простотою речи, где вычурностью, важностью и достоинством, и, во всех этих случаях, прибегает к соответствующему слогу и словам: по литературно-изысканным, хотя и риторическим, то чисто-народным".[1]

"ორბელიანმა თავისი წიგნი /"სიბრძნე სიცრუისა" - რ.ბ./, - წერს ა.ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, - ფლაბრების კილოთი დასწერა და ბევრი სახალხო არაკი ჩაუწერია";[2] „ენა ორბელიანისა ძველია ადვილ-ადვილ, მაგრამ უფრ ხშირად მარტივი და სასაუბრო. ამის ცხოველად გამოსაძებამს, ხუთ ხუთი კილო წრფელს სიტყვას. შეხედულება კეთილს და ბოროტზედ სახალხო წარმოდგენილ არის დასურათებული. ამისათვის ხალხს სიბრძნე სიცრუის წიგნი თავის სასაუბრო ენად გასაგებ და სასიამოვნო წიგნად მიაჩნია".[3]

კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მაღალ შეფასებას აძლევს "სიბრძნე სიცრუის წიგნს", რომელ მხატვრულ წაკითხვებს: "იგავ-არაკია შინაარსობრივი თვალსაზრისით, - წერს იგი, - სენტენციას - აფორიზმების სიუხვით "სიბრძნე სიცრუისა" იგავ-არაკული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია ანა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბითაც".[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი შეხედულებით, "ენა "სიბრძნე სიცრუისა არის მარტივი, დარბაისლური, ადვილად გასაგები, ბარბარიზმებისაგან განთავისუფალი და შესაბამისად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან. შესაძლებელია, ეს იმავდროულად იყოს დამტკი-

---

1. Книга мудрости и лжи /грузинские басни и сказки XVIII-XVIII стол./ С.-С. О р б е л и а н и, перевод и объяснения Ал. Ц в е т а е в а, Санкт-Петербург, 1878, გვ. XII.
2. ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1904, გვ. 545.
3. იქვე, 546-547.
4. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 321.

დებული, რომ მასალა ამოკრებულია, როგორც ვიქვიდ, უპირველესად ხალხის წ�იდიან. ყოველ შემთხვევაში, სიბრძნე სიცრუისა ის მიჯნაა, საიდანაც ქართული მხატვრული პროზაში დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება მისი ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით. მის ენას ახასიათებს ლაკონიურობა, ზემეტი ენობრივი დეტალებისაგან გაწმენდილობა, მოკლეობისა, მოვლენების ფანტასტიკური გაფვითარება, რომელიც მკითხველს წინასწარ ანიშნებს მოსალოდნელ ეფექტს. მიუხედავად იმისა, რომ სულხანი მხატვრული აქსესუარის გამოყენებაში დიდ ზომიერებას იჩენს, ალეგორიული ყვავილოვნება მაინც თან სდევს ამ ენას...

"ქილილა და დამანას" ფურცლებზე შეფარებით, რომელიც საბოლოდ საბას ეკუთვნის, ჯერ კი "ფაფალა-მეფეებისა", "სიბრძნე სიცრუისა" მაინც სულ ახალია და არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქართული მწერლობაში".[1]

ა. შ ა ნ ი ძ ე თავის წაკითხულში "სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიკოგრაფი" გაკვრით ეხება "სიბრძნე სიცრუის" ენას: "სულხანს, როგორც მისი "სიბრძნე სიცრუის წიგნიდან" ჩანს, არ უყვარს მრავალსიტყვაობა და რთული წინადადებები. იგი ლაკონიურად მოკრის სიტყვას, წინადადებას მარტივად აგებს. ეს თვისება მის ლექსიკონსაც ახასიათებს".[2]

არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მიმოიხილავს რა ახალი საელჩოსტური ქართული ენის წარმოქმნის ისტორიას, დასკვნის: "მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული საელჩოსტო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია".[3] საკუთარია, რომ ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორს მაგალითები მოჰყავს სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუიდან" და "ევროპაში მოგზაურობიდან".[4]

---

1. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 467.
2. ა. შ ა ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ლექსიკოგრაფი, "მნათობი", 1959, №10, გვ. 107.
3. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ახალი საელჩოსტო ქართული ენის წარმოქმნისათვის, ეგრ, ტ. I, გვ. 019.
4. იქვე.

"ზენიდ სულხან ორბელიანის შემოქმედებისა, - წერს გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, - არის მისი იგავ-არაკების კრებული: "სიბრძნე სიცრუისა" - ეს იშვიათი ძეგლი XVIII ს. განმანათლებელ ლიტერატურისა. იგი, როგორც თავისუფალი აზროვნების შემოქმედება, პირდაპირ უნიკალურია "განახლებული ხანის" მწერლობისა. იგი "კალეხიზისია" - ქართული მახვილობისა".[1]

გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს აზრით, "სიბრძნე სიცრუისა დაბრუნებულა ცოცხალი სიტყვისაკენ. იგი მეტის მეტად მდიდარია ხალხური სიტყვის ელემენტებით, ხალხური ფორმებით, საქცევებით. ნიადაგური, ფესვიანი, ლაპიდაური სიტყვა მაქსიმალურად ეკონომიურია - ლეპეშის მოკვეთილობით. მისი ლექსიკა მოკლებულია რიგორც საეკლესიო ლიტერატურის, ისევე სპარსული გავლენის, სპარსულარაბული სიტყვები ჩვენ გვხვდება იმდენად, რამდენადაც ეს სიტყვები უკვე ძველი ხნის დამკვიდრებული იყო. საბაკინერ აღსანიშნავია ევროპული სიტყვებისა და ცნებების ახლად შემოდინება". ავტორი დასკვნის, რომ „სალიტერატურად სიბრძნე სიცრუისა უფრო ვისარგებლებინ გავლენას გამოცდის, რამოდენიმედ ასევე იოქმის ვეფხისტყაოსნისა და ფეიმურაზ I-ის პოეზიის შესახებ. საერთოდ კი მისი ფესვები ოქრის საუკუნის მიწიდ არის გაპოხიერებული. ის მცირერიცხოვანი შეღარებები, მეტაფორები, ეპითეტები, რომელიც კრებულში მოიპოვება, არსებით დამოკიდებულია ამ წარმოებებისაგან".[2]

გ. ლ ე ო ნ ი ძ ე "სიბრძნე სიცრუის წიგნზ", მისი ენისა და სტილის თვალსაზრისით, "განახლების" ხანის სხვა წარმოებაა მორის პირველ ადგილზე აყენებს: "სიბრძნე სიცრუისა," - წერს იგი, - გრანდიოზული მიზნებია "განახლების" ეპოქისა. მისი მსგავსი წარმოები კლასიკური ენის სიწმინდით, ბრწყინვალებით, "მშვენიერი უბრალოებით", სიცოცხლით, სინახვილით,

---

1. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1725, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. CLXXIX.
2. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1725, გვ. CCVIII.

საშუალო საუკუნეებში ფიდეის არ მოგვეპოვება. ამ მხრივ მას და შეეფერება უძველესი ქართული პროზის შედევრები: "ცხორებანი: ბჰ. შუშანიკისა, გრიგოლ ხანძთელისა და "ვისრამიანი". იგი მარადიც "ნამდვილი მუხლია ქართული სიტყვის ვიფარეებში".[1]

გ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი "სპარძნე სიტრუის" წიგნის" ტერმინული ფარგმანის წინასიტყვაობაში, ვფიქრობ მიმოიხილავს რა ამ წაწარმოების ფოლკლორულსა და ლიტერატურულ წყაროებს, გაკვრით ეხება "სპარძნე სიტრუის" ენასაც. მისი აზრით, ეს ხიზგულება გაწერილია გაბატონებული და ცხოვრებაში მრავლის მნახველი ადამიანის მიერ, მარადია, მალამხადვრული, მაგრამ ამავე დროს ყველასადვის გასაგები ენით.[2]

არაერთგზის აქვს აღნიშნული "სპარძნე სიტრუის" ენისა და სტილის დიდი ღირსებანი აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე ს. "სპარძნე სიტრუის წიგნში", - წერს მკვლევარი, - ჰარმონიულად არის შერეული ქართული სიტყვის გარეგნული გამოხატულების ფონ და მისი შინაგანი გაბიმსახველობის ძალა, მისი შინაარსობრივ-აზროვნული მხარე. ამ წიგნზე ნეფეგამოყრილია ავტორის მიერ სულ სხვა შეხედულებისადვის მიხმობილი ეპიგრაფია: "ს ი ტ ყ ვ ა ს ა ქ მ ი ა ნ ი და ს ა ქ მ ე ს ი ტ ყ ვ ი ა ნ ი". სპარძნე სიტრუის საქმიანი /და ავრიანი/ იდეები გადმოცემულია დაუჯერებელი, ოსტატურად შერჩეული სიტყვებით, შესანიშნავი მხატვრული ენით. უნიანეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სულხან ორბელიანმა თავისი სპარძნე სიტრუით მეტიცა საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ საღიტერატურო ენას... ოდესაც ნესი, სპარძნე სიტრუის "ენა სადა და ხალხურია". სისადავე, სიმარტივე, მალი ფორმის უპრალოება /ე.ი. ნამდვილი ხალხურობა/ და ლაკონიურობა არის სპარძნე სიტრუის ენის

---

1. ბ. ღ ო ნ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1725 გგ. XI- XII.
2. S. Awalischwili, Einleitung: Orbeliani S.-S., Die Weisheit der Lüge, Berlin, 1933.

წიშნიერებლივად დამახასიათებელი თვისებანი. ამასთან სიბრძნე სიცრუის ენის სისადავეს ეროვნის ლიტერატურულ-მწიგნობრული დახვეწილობა და გამარჯულება. დასასრული, ფრთხილად და ბოიერად გამოყენებული არქაიზმებიც გარკვეულ კოლორს უქმნის სიბრძნე სიცრუის კეთილშობილურ სტილს".[1]

ავტორის დახასიათებით, "სიბრძნე სიცრუის ენა და სტილი სადაა, იგი არსა დამძიმებული XVI-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის სტილისადვის დამახასიათებელი ორნამენტულობით, ანუ "ფიგურებით" და "ალეგორიებით", რომელნ იყენია ილია ჭავჭავაძე. სულხან ორბელიანი ძალიან იშვიათად მიმართავს მეტაფორებს. ხხვულებაში მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება ე ე ბ ი ს ნ ა ყ ო ფ ა მ ე ტ ა ფ ო რ უ ლ ი დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა ნ ი".[2]

"სიბრძნე სიცრუის" ენისა და სტილის დამახასიათებელი ნიშნები მოკლედ განხილულია ავრეთვე ლ. მ ე ნ ა ბ დ ი ს მონოგრაფიაში "სულხან-საბა ორბელიანი". მკვლევარი მიუთითებს, რომ "სიბრძნე-სიცრუისა" დაწერილია ხალხურ-სასაუბრო კილოთი. მაგალითად ორეულანი მწიგნობრული სტილის ნაცვლად მწერალმა სასაუბრო კილო წარმოაჩინა. ბიბლიოგრაფიული ფეოდალი ხალხური ენით გვესაუბრება. მისი ენა მსუბუქი და ადვილად გასაგებია, მოქნილი და ადვილია. ამრი სხარტად და ზუსტადაა გადმოცემული, შეკუმშული და ადუნული. გამოქმა მოკლეთილი და ამოშწურავია. მეტყველება ლაკონიურია, სიტყვა ნაჭედია, კარგად შერჩეული, მოფიქრებული და გაპრეტულია. ლექსიკა ბიბლიურია, ხალხურთან ახლოს, ანის არქაიზმებიც... სულხან-საბა ორბელიანს ახასიათებს ეკონომია სიტყვისა, ნაჭედობა ფრაზისა, ფერადოვნება სტილისა. ამასთანავე ის იცავს და ინარჩუნებს ბრძნობის სიცხოველესა და ამრობილ სრულყოფილებას.

---

1. ალ. ბ ა რ ა ბ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, ნაწილი II, თბილისი, 1959, გვ. 47.
2. იქვე, გვ. 50.

მისი ენა ძალზე მდიდარია ავტორისეული გამოთქმებით. მწერალი აქ ხალხთან დიდ სიახლოვეს იჩენს".[1]

გ. ქ ი ქ ო ძ ი ს აზრით, "სიბრძნე სიცრუის წიგნი" დაწერილია ხალხური ენით, იმდენად სურათოვანით და სხარტულით, რომ შეუძლებელია უფრო ლაკონიურად აზრის გამოთქმა. ავტორის სტილი მოწმობს, რომ ეს მონასტერში ყოფნას და არც ულხოლოში მოგზაურობას იგი არ დაუშორებია ხალხური შემოქმედების ანკარა წყაროებისაგან და ის ქართველ ხალხთან ახლო იდგა აზროვნებით და მეტყველებით. მისი ენა და მისი ხხრობის ისტატობა დღესაც წასაბაძ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს მრავალ მხრით".[2]

"სიბრძნე სიცრუისაში", - წერს ა. მარგიროსოვი, - მარადია, მკვეთრად იგრძნობა ლიტერატურული ენის სასაუბრო მეტყველებასთან დაკავშირების ტენდენცია, მაგრამ მისი ავტორი ანგარიშს უწევს ავრეთვე ლიტერატურული ენის ტრადიციებსაც. ახალი ქართული ენის ფორმებთან ერთად ხშირად მიმართავს არქაულსაც".[3]

სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხების შესწავლას ეძღვნება ივ. მ ი ტ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევა "სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის", რომლის ძირითადი დასკვნები ასეთია:

1. "ახალი ქართული საელიტერატურო ენის საბოლოდ ჩამოყალიბება და ჩამოყალიბება არსებითად მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნეში დამთავრდა. ახალი ქართული საელიტერატურო ენის ჩამოყალიბების დამთავრება უმთავრესად სულხან-საბა ორბელიანის სახელთანაა დაკავშირებული".[4]

---

1. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბილისი, 1953, გვ. 101.
2. გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩეული ხხზულებანი, ტ.I, ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, თბილისი, 1963, გვ. 51.
3. ა. მ ა რ გ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 90.
4. ივ. მ ი ტ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 31. შრ.: მ ი ს ი ვ ე, დაკარგული და ახალი ქართული საელიტერატურო ენა; ლიტ.გაზეთი, 7,X, 1955, №40; მ ი ს ი ვ ე, ი. ყაფლანიძე და ახალი ქართული საელიტერატურო ენა, გვ. 49.

2. "ენა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს XVII - XVIII საუკუნეთა საქმიან-საკანცელარიო ანუ მდივანბეგნოსრული დოკუმენტების შესრულებული, ხოლო, მეორე მხრივ, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის პროზასა და დავით გურამიშვილის პოეზიაშია წარმოდგენილი, არსებითად ახალი ქართული საკალენდარო ენაა, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ჯერ კიდევ არაა თავისუფალი არც ძველი ქართული საკალენდარო ენისათვის დამახასიათებელი მოდელებისაგან და არც შემდგომი ეპოქის საკალენდარო ენისათვის დამახასიათებელი დიალექტური ფორმებისაგან".[1]

3. XVI - XVII სს განსაკუთრებით ძლიერი იყო დიალექტური ფორმების უხვად შემოჭრის ტენდენცია საკალენდარო ენაში. "XVIII-XIX საუკუნეების მწერლობაში ამის საწინააღმდეგო ტენდენციამ იჩინა თავი: შექმნილიყო საკალენდარო ენა, მაქსიმალურად თავისუფალი დიალექტური ფორმებისაგან, თუნდაც საკრებენი დიალექტებიდან მომდინარე ფორმებისაგან. ამის ერთ-ერთ საშუალებად, ამ მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ გზად საკალენდარო ენაში ხმარებული ფორმათა ერთგვარი არქაიზაცია იქნა მიჩნეული". ამ ტენდენციის ყველაზე აშკარა გამოხატველი იყო სულხან-საბა ორბელიანი.[2]

4. სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა /"სწავლანი", "სიბრძნე სიცრუისა", "მოგზაურობა ევროპაში", "ქართული ლექსიკონი"/ ენა ერთგვარი არაა.[3]

5. "არც "სწავლანი" და ამის მსგავსი სხვა ნაწარმოებები საბასი და არც მისი "ლექსიკონის" დიდი ნაწილი არ შეიძლება საბას ენობრივი პიროვნების, მისი ენისა და სტილის განსაზღვრელად გამოვიყენოთ. ამ ხარვეზებთან ენის მიხედვით სულხან-საბა ორბელიანი ვერ დაიჭერდა იმ ადგილს ქართული საკალენდარო ენის განვითარების ისტორიაში, რომელიც მას უჭირავს. თუ

---

1. ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 31.
2. იქვე, გვ. 31-32.
3. იქვე, გვ. 33.

საბას გარკვეული ადგილი უკავია ქართული საეკლესიო ენის განვითარების ისტორიაში, თუ იგი ამსახველია ქართული საეკლესიო ენის განვითარების ერთი უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საფეხურისა, იმიტომ, რომ იგია ავტორი "სიბრძნე-სიცრუის წიგნისა" და "ევროპაში მოგზაურობისა". ეს ხელუყოფელია, რომლებშიაც საბამ მკვეთრად გამოავლინა თავისი დამოკიდებულება ქართული საეკლესიო ენისადმი და რომლებითაც სრულიად გარკვეული კვალი დაამჩნია ქართული საეკლესიო ენის განვითარებას".[1]

6. "ზეი ქართული საბას წაბერებში არსებითად დაძლეული და უკუგდებულია", მაგრამ ამავე დროს "არსებითად გაბმულია საბას ენა ბიბლიურ ფორმათა სიჭარბისაგან... ამით საბას ხელში საეკლესიო ენამ ისევ დაიბრუნა ერთ დროს დაკარგული მონოლითურობა, აღარაა გაფანტული ბიბლიაში და რიგიანად უპირისპირდება ბიბლიას, როგორც საეკლესიო მეფეველება".[2]

7. "სიბრძნე სიცრუის" ენა საგრძნობლად შორდება ბიბლიას, "თუმცა ბოლოერთი მისი წიგნები შეიძლება კიდევ ახასიათებდეს".[3]

8. საეკლესიო ენის მონოლითურობისაკენ ბრძოლის ხერხად, საეკლესიო ენის კუთხური მეფეველებისაგან, ყოველდღიური სასაუბრო მეფეველებისაგან გამიჯვნის საშუალებად სულხან-საბა ორმაგიანი მიმართავს ერთგვარ არქაიზაციას, მაგრამ "არქაიზაცია საბას ენაში არ წიშნავს უკან, ძველი ქართული ენისაკენ მიბრუნებას".[4]

9. "სიბრძნე სიცრუის წიგნის" ენის ინდივიდუალურობას, მის სპეციფიკას ძირითადად განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი: "ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების ენისაკენ გაბმასაზღვრული წინადადების ჰიპოტაქსური წყობაა. ძველი ქართული საეკლესიო ენა ფარდად განვითარებული ჰიპოტაქ-

---

1. ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 36.
2. იქვე, გვ. 37.
3. იქვე.
4. იქვე, გვ. 37-38.

სური წყობის ენაა". "სიბრძნე სიცრუის წიგნში" სულხან-საბა ორბელიანმა "თიქმის სავსებით უკუაგდო ჰიპოტაქსური წყობა წინადადებისა, რომელიც ძველმდებარეული წინადადებები ამ ხხზულებაში თიქმის სრულიად არ გვხვდება. თუ გვხვდება, ამ შემთხვევაშიც უმეტეს წილად უკავშირო შეერთებანი გვაქვს, საბა მაქვემდებარებელი კავშირებისა და წევრ-კავშირების გამოყენებას გაურბის შეგნებულად. მთელი ხხზულება ამ რთული შეკავშირებული წინადადებებითაა გამარული, ან კიდევ შერწყმული და მარტივი წინადადებებით. ამასთან საბა შეგნებულად მოკლე წინადადებებს იყენებს, გაურბის წინადადებების გამძიმებას შეორეხარისხოვანი წევრებით".[1]

10. ავტორის აზრით, "ამ მხრივ "სიბრძნე სიცრუის წიგნის" ენისაკენ არავრით არ განსხვავდება "ევროპაში მოგზაურობის" ენა".[2]

11. "სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა ენის შესწავლა, - წერს ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, - აჩვენებს, რომ ავტორის ენა და სტილი სხვადასხვაგვარეულია იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის, რა ჟანრის ნაწარმოებს წერს იგი. რჩება მოაბეჭდილება, რომელიც ბადებს კითხვას: ხომ არ იყო საბა მოხრე ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენისა და ხომ არ ადარებდა იგი ამ შეხედულებას პრაქტიკულადაც".[3]

ავტორი დასმულ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა: "არ არის გამორიცხული, რომ საბას მოგი რამ სტიმულირა ნაადრევი კლასიციზმის წარმომადგენლობა და მან შეხედულებანი შესახებ, ეროვნულ ფუმოხვევაში არის მინიშნებები, რომ საბა განარჩევდა ერომანეთისაკენ საეკლესიო და საერო ენას".[4]

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ "თავისთავად ასეთი ახსნა, რა თქმა უნდა, სავსებით შესა-

---

1. ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 40.
2. იქვე, გვ. 41.
3. იქვე.
4. იქვე.

ძღვენია სინამდვილეს შეეფერებოდეს, მაგრამ უფაფოდ ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ სამას, ქართული საერო და საფალიერო მწერლობის შესანიშნავ მცოდნეს, არ შეეძლო არ შეემჩნია ის ფიქრებრივი სხვაობა, რომლითაც იმეჯნებოდა ერთმანეთისაგან საფალიერო და საერო ნაწარმოებები მის წინაშეროინდელ მწერლობაში. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ის უფრო თავისი ლიტერატურული წინაპრების ტრადიციას იცავდა, ვიდრე ევროპული ნაკრები კლასიკოსების ნაწარმოებებზე გავლენას განიცდიდა".[1]

ა. გ ა ბ ე ლ ი ა ნაშრომში "სულხან-საბა ორბელიანი" მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხების მიმოხილვისას ყურადღებას ამახვილებს "სიბრძნე სიცრუის" ფილის დამახასიათებელ ნიშნებზეც. ავტორის აზრით:

1. სულხან-საბა ორბელიანი "ზოგჯერ არაორიგინალურ შეხედულებებსა და ფერებს მიმართავს. იგავ-არაკებს საერთო აქვს ფანტასტიკური ფორმები და სულხან-საბაც არ ცდილობს /ფანტასტიკურ მკითხველის მოხიბვლილების დაკმაყოფილების მიზნით/ რაიმე შეცვალოს სახეებისა და ეპიზოდების მზამზარეული წყობაში" /საინტერესოდ მოყვანილია მეფისა და უფლისწულის პიპერბოლური დახასიათებანი/[2], მაგრამ "მიზანიკური ადგილების მხრივ "სიბრძნე სიცრუისა" ღირები წიგნია" და ავტორის ორნამენტული, ყვავილოვან ფილს ხელოვნად ცვლის "ეფექტურ ინტერესებს მოკლეული ხერხია. წამლის მიღებამდე მკითხველს სულხან-საბა აწვლის მზამზარეულ და ტკბილ სასმელს".[2]

2. სულხან-საბას ფილის უპირველესი ნიშანია ეროტიკული წყობა" /ფასიერად მოკლე წინადადებანი, წერილების სიჭარბე/, რომლის მაგალითი საერთო

---

1. ე.ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სამი ფილის ფორმა ქართულ მწერლობაში, თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 26.

2. ა. გ ა ბ ე ლ ი ა, სულხან-საბა ორბელიანი: რჩეული ნაწერები, I, წერილები და ნარკვევები, ლიტერატურული ძიებანი, პოეტიკები, თბილისი, 1962, გვ. 45. შდრ.: იქვე, გვ. 53-54.

მსოფლიო ლიტერატურაშიც იშვიათად მოიპოვება. "ევროპაში მოგზაურობისა" და "სიბრძნის" ავტორს, აღბათ, საშინელების ბრძოლას ჰქონია ყოველგვარი მრავალსიტყვაობა და არავის ისე არ ჰყვარებია შეკუმშული წინადადებები, როგორც - სულხან-საბას. მის ბოლოდროინდელ ავტორებში ასეთი არ გვხვდება დამხმარე სიტყვები, თვით კავშირის ფორმაც /და/ კი".[1]

3. "სულხან-საბა ორეული უდიდესი მცოდნეა ქართული იდიომების, ანდაზების, სიტყვიერი მარაგისა".[2]

4. სულხან-საბა ორეულის მეტყველება ხალხურია, მაგრამ "ხალხურობა" არ უნდა გავიგოთ როგორც მონური ქედმოხრა სასაუბრო ენის სტიქიის წინაშე. საბა შეუდარებელი სტილისტია, მაშასადამე, ის თვითონ ფლობს ენას და არა პირუკუ. ხალხური ენის ფორმები სახეცვლილ მწიგნობრული ფორმებად ერწყმის, ქარცვეული მხატვრული კალამუშავების შემდეგ მოხვედრილან მის წიგნში. ამ ორი ტენდენციის შერწყმის ნაყოფია დიდი ინდივიდუალობით აღბეჭდილი ენა სულხან-საბა ორეულისა".[3]

ავტორი, ამ მხრივ, სულხან-საბას შ. რუსთაველის გვერდით აყენებს: "ძველ ქართულ მწერლობაში რუსთაველმა და სულხან-საბა ორეულმა შესძლეს ხალხურ, ხშირად ბანალურ გამოთქმათა, ლიტერატურული ტახვეწა, რაც უწინარესი წიშნია წარმავლობის ხვედრს აცილებული მაღალი სტილისა".[4]

5. თუ ერთმანეთს შევადარებთ "სიბრძნე სიცრუისას" და "ევროპაში მოგზაურობას" დავინახავთ, რომ მან "აერთებს სტილური მსგავსება. ხ ო რ ბ ი ს სიტყვა და ელიპსური წყობა ფრაგმენტისა".[5]

---

1. ა. გ ა ბ ე ს ო ნ ი ა, სულხან-საბა ორეული, გვ. 45-46.
2. იქვე, გვ. 46. შდრ.: გვ. 54-56
3. იქვე, გვ. 46.
4. იქვე, გვ. 47.
5. იქვე, გვ. 47.

რით უნდა აიხსნას სულხან-საბას ასეთი დამოკიდებულება მხატვრული მეფლეველებისადმი?

"ძმა იმისა, - წერს ავტორი, - რომ "სიბრძნე სიცრუისას" არაკები შეუძლებელი იყო ანტიკლერიკალურად განწყობილ ახალგაზრდა სულხანს დაეწერა მნიგნიბრული ენით - არაფერს არ ხსნის. მაშინ იპადება კითხვა: რაღომ არ წერს 60 წლის კაბოლიკე საბა თავის "მოგზაურობას" იმ ენით, რომლითაც მან. ციმოდე გაბაშვილი წერდა თავის "მოხილვას".? მაშასადამე, ყანრული მიმე-ნი აქ მოსაცანი არ არის".[1]

ავტორი უარყოფს მეორე მოსაზრებასაც-რომ სულხან-საბა ხალხური ენის დიდ ყავლურას განიცდიდა და ამიტომ ახასიათებს მისი წაწარმოებების ენას "სიბრძნე - სიცრუისა", "მოგზაურობა ევროპაში"/ ხერობის სისადავე და ელიფსური წყობა ფრაზისა. "სულხან-საბას ენა, - წერს ავტორი, - ფუძცა სადაა, იგი მაინც განირჩევა ხალხურისაგან. საკმარისია შევადაროთ "სიბ-რძნე სიცრუისა" ეპოქის სიკვლ-ფაჯრებს ან უფრო ნაკვლიანები ხანის წაწარ-მოებს - იესე ოსეს-ძის "ფავლადასავალს", რომ მაშინვე დავინახოთ განსხვა-ვება საბას ფიმიერ და აღნიშნული ძეგლების ვულგარული ენას შორის".[2]

ავტორის საბოლოო პასუხი ჩვენთ დასმულ კითხვაზე ასეთია: "სულხან-საბა ორენოვანის სფეროსა და ენის სისადავე შედეგია სიფლვაზე ხანგრძლივი მუშაობისა. ორი ნაკადის - ხალხურისა და ლიტერატურის - შეხვედრაში ჩაფი-ყალიბა საბას ლიტერატურული ენა".[3]

ნ. ავტორის აზრით, სულხან-საბას ხელოვნებაში პუნქტუაციასაც კი გარ-კვეული სტილისტური ფუნქცია აქვს დაკისრებული: "სულხან-საბა განსაკუთრე-ბულ ყურადღებას აქცევს სასვენი ნიშნების კომპოზიციურ როლს, ყოველ მძი-

---

1. ა. გ ა ბ ე ნ ი ა, სულხან-საბა ორენოვანი, გვ. 48. შდრ.: იქვე, გვ. 51.
2. იქვე.
3. ა. გ ა ბ ე ნ ი ა, სულხან-საბა ორენოვანი, გვ. 48. შდრ.: მ ი-ს ი ვ ე, სულხან-საბა ორენოვანის პრობა, "ჩვენი ბაბა", 1938, №2, გვ. 49-57.

მესა და წერილს მის არაკეში დაკისრებული აქვს სავალალო ფუნქცია. ეს მაგალითს სულხან-საბას ეხრობას ითვალთ ბოლიერებას, იცავს მას მრავალსიტყვაობისაგან".[1]

7. ავტორი უყოყმანოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ეხებულებაზეაგან ეხრობის სისადავისა და ფრაგის ელვისური ბუნების ფაქტორი, "გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ "ქილილა და დამანა" და ჰომილეტიკური ნაწარმოებნი. პირველი "გაიჩალა" გარკვეული შეკვეთით, რის გამო მასში არქაული ელემენტები და ბიბლიური ტონი სჭარბობს, ხოლო დავით გარეჯის უდაბნოში ნაბერ ლოცვებში ავტორს, აუნებლივია, არ შეეძლო დაეცვა ეხრობის საკუთარი მანერა. მიუხედავად ამისა, ორივეში გამოსჭვივის საბას სტილის ბოგიერი თავისებურებანი".[2]

ს. ი ო ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, "სიბრძნე სიცრუისა" თავიდან ბოლამდე დაწერილია ერთგვაროვანი ლიტერატურული სტილით, რომელსაც ახასიათებს ლაკონიზმი და გადმოცემის ელფსური ხერხი. წიგნის პირველი სტრიქონებიდანვე ივრცნობა ავტორის მისწრაფება, რომ საოქმელი გადმოსცეს ნაღლად, მოკლედ და ხალხისთვის გასაგებ ენაზე, რასაც ავტორი კიდევ აღნევს სიტყვაზე ხანგრძლივი და ფუფუნოვანი მუშაობით.[3]

საინტერესო დაკვირვებანი მოიპოვება სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუის" სტილებრივ თავისებურებათა გასაგებად ალ. ო ლ ო ნ ტ ი ს ნაშრომში "ქართული ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები",

---

1. ა. ბ ა ბ ე ნ ი ა, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 48.
2. იქვე, გვ. 47. შრ.: გვ. 50-52.
3. С. И о р д а н и ш в и л и, С.-С. Орбелиани и его "Мудрость лжи", წიგნში: С.-С. О р б е л и а н и Мудрость лжи, перевод с грузинского Ал. Ц в а г а р е л и, под ред. С. И о р д а н и ш в и л и, Тбилиси, 1939, გვ. XIX.

სადაც სხვა წაბარბოებებთან ერთად გაანალიზებულია სულხან-საბას ერთ-ერთი იგავის სინტაქსური სტრუქტურის მონაცემები და მიღებულია საყურადღები დასკვნები.[1]

დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა წიგნში "წიგნი სიბრძნე სიცრუისა" გახაზავს ამ ხასიათების ენისა და სტილისათვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშან-თვისებებს:

1. სულხან-საბა ორბელიანი ორგანულად ვერ იტანს ყალბ მეცადინეობას, ინვერსიებსა და ზედმეტ მაღალფარდოვნებას. სამაგიეროდ წაბარბოებში მრავალია ანონიმებები, იდიომატური გამოთქმებიც, ანდაზებიც, სენტენციებიც, რომლებიც ქართულ-ერუნული სხარტი სიტყვიერებისა და შეგონება-მორალებიც ხალხურ სისადავემდეა დაყვანილი.[2]

2. "სიბრძნე სიცრუის" სტილი სუფთაა. იგი გაწმენდილია "უცხო ენის დანაღვლიანებან".

3. "ქართული კრიტიკაში ხშირად თქმულა, - წერს ავტორი, - რომ ჩვენი ანაგებმწერლის სტილი ლაკონიურია, სხარტი და მარჯვედ მოქნეული. მაგრამ ეოველივე ეს გაცა სხვა მწერლებს არ ახასიათებს? სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ერთი ინტელექტუალურია , ჭკვის მიერი და ამიტომ არის მისი ასეთ მკაცრ სიმარტივემდე დაყვანილი სტილი ეგზომ ლოგიკური, თითქოს ცივი და ლაპიდარული".[3]

4. "სიბრძნე-სიცრუის" ყოველი ფრაზა გაძარცულია ყოველგვარ ზედმეტ საშკაულაგან და ხშირად, ძალიან ხშირად მხოლოდ ქვემდებარემდე და შემასმენელამდე არის დაყვანილი.[4]

5. სულხან-საბა ორბელიანი ორგანულად ვერ იტანს რიგი წინადადებას, მას არ უყვარს ფრაზის მიკიბვ-მოკიბვა, სძულს ყოველგვარი პაროქსიზმი და

---

1. ა. ა ბ ე ლ ი ნ ი, ფილოლოგიური წაბარბოებში, III, ქართული ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, V, 1958, გვ. 350.
2. დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, წიგნი სიბრძნე სიცრუისა: მუდმივი თანამგზავრები, თბილისი, 1964, გვ. 19.
3. იქვე, გვ. 20-21.
4. იქვე, გვ. 21.

ფეიმეიბნიბრივი ფენომენია. ბიჯა ტბურაძე ამას ხანდახან მაინც შეიმარ-
ავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წინასწარ გააზვარებული ხერხია.[1]

6. "სულხან-საბა ორბელიანის ენა ფეიმეფოდია, ხალხური და არაფერი
ის არ ეთანხმება არც ქართული საეკლესიო მეფეფეფისა და არც აღმოსავლურ
მაღალფარფეფეფი წერის ტრადიციებს. ეს სისადავე და სიფფეაძვირფა ძალზე
ძნელია, ბადავან ბოლად წერა სადად წერაზე ადვილია".[2]

ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ი დაკვირვებით:

1. სულხან-საბა ორბელიანი ქართული სალიტერატურო ენის ფეფორმატორია.
მან ლიტერატურული ენა მჭიდროდ დაუკავშირა ხალხის მეტყველებულ ენას.[3]

2. სულხან-საბა ორბელიანის სტილის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს
ლაკონიურობა. "ბაბილონში მოკლე წინადადებით სულხან-საბა ორბელიანი ახერ-
ხებს სურათის მკვეთრად წარმოდგენას. ის თავს არიდებს გაჭვიანებული ხრო-
ბას, ლეკალურ აღწერას და ყოველი სიტყვის ღიღი ტვირთვრებითა და თავის ერთ-
გვ ხმარებით აღწევს საოცარ ეფექტს.[4]

3. ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ე შენიშნავს: "თუ ოდესმე აღწევს სულხან-საბა
ხროპის ლაკონიურობას, ეს სპეციალური, ხანგრძლივი დაკვირვებისა და შეს-
წავლის საგანია".[5]

ავტორის აზრით, სულხან-საბა ორბელიანი სტილის ლაკონიურობას, სხვა
საშუალებებთან ერთად, აღწევს:

ა/ სიტყვათა შინაგანი, ასოციაციური კავშირის საფუძველზე ფრაზის მო-
კვეთით;

ბ/ უარყოფილი ნაწილაკისა და უკუქმნილი წინადადებების გამოყენებით.[6]

---

1. ე. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, გვ. 21.
2. იქვე, გვ. 23.
3. ნ. ბ ა ბ ა ხ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის ტიპი-
ური თავისებურების შესახებ: სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1958, სა-
იუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 49.
4. იქვე.
5. იქვე.
6. იქვე, გვ. 50.

4. სულხან-საბა ორბელიანი, ხმრობის დინამიკურობის მიმბნეი, თავს აერიდებს მეტაფორებს, ზოგჯ ეპითეტებს და მოკლენის ან საგნის წარმოსასაჩვენად ხმარობს მეტო-ორიგინალ ეპითეტს, რასაც მკითხველის ყურადღებას ან გაფანტოს. ავტორისეულ ხმრობაში კი ვხვდებით არაკანონიერი სრულიად უჩვეულო, ზეიად, ალმოსავლური სტილის მეტაფორებს.[1]

5. რ. ბ ა რ ა ბ ი ძ ე თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს შ. რუსთაველის "ვეფხისტყაოსნისა" და სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუის" სიახლოვეზე. ავტორის დასკვნით, "სულხან-საბა ორბელიანის ენობრივი, სტილისეული სიახლოვე შ. რუსთაველთან გამოწვეულია ამ ორი მწერლის ჰუმანისტური მსოფლმხედველობით ერთიანობით, რაც გამოხატულებას პოულობს მათ წაწარმოებთა იდეურ შინაარსის სიახლოვეში, ისე ცალკეულ ადგილისეული ფენომენის, შეკონებათა მსგავსებაში".[2]

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის თავისებურებებს საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ი. ყ ა ფ ლ ა ნ ი ა ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში, რომლის ძირითადი დასკვნები ასეთია:

1. სულხან-საბა ორბელიანის ენა, მარტივია, სიტყვაძუნწია, ძალზე მომჭირნეა, ლაკონიურია, მაგრამ ამავე დროს არის ხატოვანი, გამჭვირვალე, ტუსტი და მეტყველი, მოკლებული ყოვლისგვარ ზედმეტ ორნამენტულობას.[3]

2. სულხან-საბა უპირატესობას ანიჭებს მარტივ გაუვრცობელ წინადადებებს.[4]

3. ავტორის აზრით, "ვეფხისტყაოსნის შემდეგ ქართული მწერლობის არცერთ ნაწარმოებში არ გვხვდება ენობრივად დახვეწილი და მხატვრულად სრულყოფილი მახვილსიტყვაობისა და ანდაზური მეტყველების იმდენი ნიმუში, რამ-

---

1. რ. ბ ა რ ა ბ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ, გვ. 53-54.
2. იქვე, გვ. 59.
3. ი. ყ ა ფ ლ ა ნ ი ა, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის თავისებურება: კრიტიკული წერილები, II, 1961, გვ. 239. შდრ.: იქვე, გვ. 242-243.
4. იქვე, გვ. 242.

დენადაც "სიბრძნე სიცრუისაში".[1]

4. ი. ჭ ო ბ ო ლ ი ა ხაზს უსვამს "სიბრძნე სიცრუის" ტანსაკუთრებული სიმდიდრეს ფრაზეოლოგიით და აღნიშნავს, რომ "სულხან-საბა ორბელიანის ფრაზეოლოგიის შესწავლა მეტად მრავალფეროვანი საქმიანობაა. იგი მოითხოვს ჩამოყალიბებულ მუშაობას, ბევრი პარალელური საკითხის გაფანტვასა".[2]

რ. შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ფავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს "სიბრძნე სიცრუის" ენობრივ თავისებურებებზე ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ხაზით. დასასრულ გადმოცემულია ავტორის მეხედველობანი ამ ნაბეჭდების სტილზე. მისი აზრით: "სულხან-საბა ორბელიანი ქართული ენის სწორუპოვარი სტილისტია, ხოლო მისი "სიბრძნე სიცრუისა" პროზის შედევრია, რომელშიც სტილისტურად გაუმართავი და მხატვრული თვალსაზრისით უვარგისი არც ერთი მაგალითი არ გვხვდება".[3]

მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" ენობრივი მონაცემების ანალიზისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე დასკვნის:

1. "სიბრძნე სიცრუის წიგნის" ენა გაციცებით მეგ კონსერვატულობას ამჟღავნებს მოგ საკითხში, ვიდრე "მოგზაურობა".[4]

2. "მოგზაურობის" ენა ასახავს იმდროინდელ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში არსებულ ვითარებას და ახალი საელიტერატურო ქართულის ტენდენციებს უჭერს მხარს.[5]

---

1. ი. ჭ ო ბ ო ლ ი ა, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის თავისებურება, გვ. 254.

2. იქვე, გვ. 255.

3. რ. შ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ენის შესწავლა-სკოლაში, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, 1961., მეცნიერული ნაშრომები, ტ. VIII, გვ. 137.

4. მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის საერო მხატვრულობა ენის ერთი საკითხი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, 1969, გვ.17.

5. იქვე, გვ. 20.

3. "მოგზაურობა, - წერს მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე, - უმუალო ჩანაწერების შეადგენდა ფოლიანტს და არა ლიტერატურული, მხატვრული და ენციკლოპედიურად გამართული ხელოვნებისას /ეს აზრი არ გამორიცხავს მის უდიდეს მნიშვნელობას ლიტერატურის ისტორიისათვის/. საფიქრებელია, რომ იგი რამდენადმე განსხვავებულ სახეს მიიღებდა, ავტორს რომ მისი გადამუშავებისათვის მოეცალა".[1]

სულხან-საბა ორბელიანის "სიბრძნე სიცრუის" ენისა და სტილის ხალხური წყაროების შესასწავლად საინტერესო დაკვირვებებს გვაწვდის აგრეთვე ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს[2] და ალ. ც ა ნ ა ვ ა ს[3] ნაშრომები. ამ ნაშრომებში წარმოდგენილი და გაანალიზებული მასალები საშუალებას გვაძლევს, წარმოდგენილ ვიფიქროთ, თუ როგორი გულისხმიერებით ეკიდებოდა სულხან-საბა ბეჭვისფერების საუბრებს და რა დიდი ხელოვნებით იყენებდა იგი მუნებრივ ქართულ გამოთქმებს, ანდაზებსა და ნამდვილ ხალხურ ფრაზეოლოგიზმებს "სიბრძნე-სიცრუის" ენობრივი ქსოვილის შესაკერად.

§ 10. "ევროპაში მოგზაურობის" ენისა და სტილის საკითხებზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებას ბევრი გავეცანი. აქ წარმოვადგენ კიდევ რამდენიმეს:

ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს შეხედულებით, "მოგზაურობა გაურბის ძველ, გაქიანურებულ აღწერას, რადგანაც მას ახსოვს, რომ "ძველი ამბავი ფავის საწყენია". ზოგიერთ ლაკონიურობა, აი მისი ხასიათის დამახასიათებელი ფესვია".[4] მისივე აზრით, სულხან-საბა ორბელიანმა ქართული სალიტერატურო ენა

---

1. მ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის საერო ხელოვნებისა ენის ერთი საკითხი, გვ. 20.
2. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუის ხალხური წყაროების ზოგიერთი საკითხი: ს.-ს. ორბელიანი, 1658-1958, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 215-234.
3. ალ. ც ა ნ ა ვ ა, წიგნი "სიბრძნე სიცრუისა" და ქართული მახვილსიტყვაობა, თბილისი, 1959.
4. ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 473.

"დაადგენა გამარჯვებულის, ხალხურ მეფეობისთვის დასახლების გზაზე, რამაც თავი იჩინა განსაკუთრებით მის ხმაურებაში, რომელსაც "მოგზაურობა ევროპაში" ეწოდება".[1]

ს. ი ო რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ სულხან-საბა ორბელიანის "მოგზაურობა ევროპაში" "დარჩება ერთ თვალსაჩინო ძეგლად ქართული ლიტერატურის იმ დარგიდან, რომელსაც "მოგზაურობანი" და "მიმოხილვანი" ეწოდება. წიგნი შესრულებულია საპასუხოვის ჩვეული ლაკონიური სტილით, რომელიც ხშირად ხერხების სისადავეს აღწევს".[2]

ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს აზრით, "მოგზაურობა ევროპაში" ქართული მხატვრული დოკუმენტური პროზის პირველი და საუკეთესო წიმუშია. ამ წიგნით საბამ შეაღო და გააკვალა ქართულ ლიტერატურაში ახალი გზანი... "მოგზაურობის" დამახასიათებელი მხარეებია ენობრივი სისადავე და სტილისტური ეკონომია".[3]

"სულხან-საბა ორბელიანის "მოგზაურობა ევროპაში", - წერს ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, - უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. ავტორმა ქართველ მკითხველს პირველად გააცნო დასავლეთი ევროპა, იქაური ხალხის ადათები, ზნე-ჩვეულებანი. სულხან-საბა ორბელიანის ენა მარტივი, ჩამოყალიბებული და გამართულია. მხატვრული სამოსით წარმოდგენილი ლაკონიური ენა დიდ გავლენას ახდენს მკითხველზე".[4]

ალ. კ ი კ ვ ა ძ ე, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა უძღვნა "ევროპაში მოგზაურობას", ამ წაბაძვების ენის შესახებ წერს: "უნდა აღინიშნოს,

---

1. ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 483.
2. ს. ი ო რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საბას "მოგზაურობა ევროპაში": ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ს. ი ო რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბილისი, 1940, გვ. XIV.
3. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 101.
4. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 131.

რომ "მოგზაურობის ენა" "სიბრძნე სიცრუისაა" რამდენადმე ჩამორჩება რიგრიგ სისადავეში, ისე განსაკუთრებით მხატვრულობაში, სურათოვნობასა და მიმზიდველობაში. ამის მიზეზი შეიძლება მასალის სხვადასხვაობაც იყოს, რაზეც არ ვლაობთ. ყველა შემთხვევაში ერთმანეთს სხვაობას არ შეიძლება მეფუსკიანი გავლენა არ ჰქონდეს წაბაძოების კომპოზიციაზე, მის ენასა და სტილზე".[1]

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქმეული მოსაზრებაა მოკლე მიმოხილვაც ნაღლად მეფლეველებს იმ დიდ ლეიბიულ ინტერესზე, რომელსაც ენათმეცნიერები და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები იჩენენ სულხან-საბა ორბელიანის ხელუნებების, განსაკუთრებით კი "სიბრძნე სიცრუისა" და "ევროპაში მოგზაურობის" ენისა და სტილის საკითხებისადმი. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ დღემდე არავის უფიქრია ამ ნაბაძოებების ენობრივ თავისებურებათა მონოგრაფიულად შესწავლა საკმაო ემპირიული მასალის თანმიმდევრული და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს.

სანამ საკვლევ თემასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, მიგანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის ქართული საელიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და შესწავლა-ავრცელების საქმეში.

---

1. ალ. ჯ ი კ ვ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი და მისი "მოგზაურობა ევროპაში", სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 1954, გვ. 119.

პირველი თავი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული სალიტერატურო ენის სინქრონიის ფაზისა და შესწავლა-გაგრძელების სფეროში

§ 11. მე-16 საუკუნის დამდეგს ოსმალურ ლენგისა და ფერსმანია ურიოების მრავალფეროვანი შემოსევებით დაულტურებულ ჩვენს ქვეყანას ორი მძიმე მარცხი გაუჩნდა: სპარსეთი და ოსმალეთი. ამ დროიდან აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთმა გაიხადა თავის საფარეშო ასპარეზად, დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა.

სპარსეთი და ფერსი დამპყრობლები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების მიზნით. ისინი ცდილობდნენ საქართველოში სამუდამოდ მოეკიდებინათ ფეხი, ქართველებისათვის თავს მოხვევიათ თავიანთი სარწმუნოება, ზნე-ჩვეულებანი, სახელმწიფოებრივი და სოციალური წესწყობილება. დამპყრობელთა ვერაგულმა და სასტიკმა პოლიტიკამ "შემოდგომის ზღვილის სუსხივით დაკრა ახალი გამოღვიძებული ქართული მხატვრული მწერლობის ჯიჯილს. სწორედ ამ დროს იწყებოდა ხანგრძლივ მიძინებული ქართული ტონერული შემოქმედების მოსულიერება".[1]

აგრესორთა მუხანათური ხელი ჩვენს მშობლიურ ენასაც მისწვდა. სპარსული და ფერსული ლექსიკურ-ფონეტიკური ელემენტები მღვრიე ნაკადად შეერია მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართულ სალიტერატურო ენას. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საგვიანოების ანისტოკრატიულ წრეებში გაძლიერდა სპარსული ენისა და სპარსული ფოლკლორი გავრცელება, რასაც ვერ ასცდა სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი ფეიმურაზ პირველიც. იგი ამაკარად აცხადებდა: "სპარსთა ენისა სიტკბოსან მასურვა მუსიკოანი" და

---

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, XV-XVIII საუკუნეები, თბილისი, 1967, გვ. 342.

"მძიმე არს ენა ქართველთა". "მაშინდელ საქართველოში, - წერს ვ. ფ ო ფ უ ტ ი ა, - გამაჰმადიანებული მეფეებისა და დიდებულთა ნებსვლობით ინერგებოდა სპარსული ცხოვრების წესები, გავრცელდა ფლეთა გადიდება, ფაფა ბნეობა, ქაირდენა ენა".[1]

ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში დიდი გასაჭირი ჰქონდა სიტყვათა სესხებას, რამდენადაც "სიტყვათა სესხება, მიუხედავად არაუკიდურესობისა, ხდება უცხოური ენის ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ი ფ ა ბ ო ლ ი ს პირობებში. სახელდობრ, ეს ის პირობებია, რომელთაც ერთი ენობრივი კოლექტივი ძალიან გავლენას ახდენს მეორეზე პოლიტიკური ან კულტურული უპირატესობა-ბატონობების წყალობით".[2]

ფრთა გაბმულობაში ქართული სალიტერატურო ენა თანდათან კარგავდა თავის თვითმყოფადობას, მონოლითურობასა და სიწმინდეს. "სპარსული და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი; ხშირად ისეთი სიტყვებიც ინერგებოდა, რომელთა ეквივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარეშოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაქრობას და სამუდამო დავიწყებას უქადდა".[3]

ქართველი მონაზონი საფრთხედ კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ეროვნული ბრძოლა სპარსული და თურქული ენების წამლეკავი გავლენის წინააღმდეგ, ქართული სალიტერატურო ენის გადასარჩენად, სიწმინდის დასაცავად და გასავრცელებლად. ამ ბრძოლას საფუძველი ჩაუყარა მეფე-პოეტი არჩილი /1647-1713/: "სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის წინააღმდეგ მებრძოლი არჩილი ეროვნულად იცავს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეს".[4]

---

1. ვ. ფ ო ფ უ ტ ი ა, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მნიშვნელობისათვის, კომუნისტური აღზრდისათვის, №10, ოქტომბერი, 1959, გვ. 65.
2. მ.მ ი ქ ი ბ ა ვ ა, სიტყვის სესხება: ენა და ლიტერატურა, გვ. 213.
3. მ.ძ ი ძ ი გ ა ვ ი, ქართული სამწერლო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან: მწერლის ენა, თბილისი, 1957, გვ. 170.
4. ალ. ბ ა ბ ა ლ ი ძ ე, არჩილი: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, კ.ბ ე ქ ე ლ ი ძ ე, ა.ბ ა ბ ა ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურა /V-XVIII სს/, თბილისი, 1954, გვ. 367.

პოეტი უკმაყოფილია იმის გამო, რომ ქართული საელჩოსაგან ენაში გამუკიოხავად ამის შემოტანილი და დამკვიდრებული აღმოსავლურ ენათა სიტყვები და გამოთქმები. იგი თავის პოემაში "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა" მეფურიებულად უსაყვედურებს თავის წინამორბედ და თანამედროვე პოეტებს ბარბარიზმებისა და ბიალექტიზმებით გატაცების გამო. არჩილი რუსთაველის პირით ირონიულად შენიშნავს თეიმურაზს:

"მძიმედ ჩანს ენა ქართველია, მაგ ბრძანე არაბულია!"

პოეტი, ცხადია, არ უარყოფდა ჯეროვან ენათა ცოდნის საჭიროებასა და სარგებლიანობას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდა, რომ მშობლიური ქართული ენის სიწმინდე არ აევლვრიათ ამ ენებიდან გამუკიოხავად შემოტანილი სიტყვებით:

"ეგ ნუ გგონიან, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართული ენაში სხვას ავიწ"

"არჩილი, - წერს ლ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, - იცავდა ცხოვრების სინამდვილიდან ამღები ეროვნული პატრიოტული თემატიკას, გადმოცემული წმინდა ქართული ენით, ყოველ შემთხვევაში არც ლექსიკა ნაბარბოვისა და არც ლექსიკა სპარსულ-არაბულ-ოსმალური სამყაროდან არ უნდა ყოფილიყო ამღები. ამოსავალი სიტყვების მოყვანილ თეიმურაზსა და სხვებთან პოლემიკისას წმინდა ქართული ნიმუშად არჩილი თავისსავე ნაწერებს ასახელებდა:

"მიფიქვამს ქართული ენითა, სხვა ენა არ ეგვიანო".[1]

არჩილის მიერ დაწყებული ბრძოლა ქართული საელჩოსაგან ენის სიწმინდისათვის წარმატებით გაგრძელდა და გამოვიყენა სულხან-საბა ორბელიანმა. ამ მხრივ გამოსაკვლევით საყურადღებოა მისი უკვდავი ქმნილება "ქართული ლექსიკონი", ანუ "სიტყვის კონა".

---

1. ლ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1959, გვ. 57.

§ 12. სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი ხანგრძლივი და ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგია. "მე, სულხან საბა ორბელიანს, - გვამცნობს ავტორი, - ქაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიყვნია ამა წიგნსა ზედა".[1] "39 წელი იუშავა მან ლექსიკონის შედგენაზე, - წერს ვ. ფ ო ფ უ რ ი ა, - დაიწყო 27-28 წლის ასაკისამ /1685 წელს/ და სიკვდილამდე /1725 წლამდე/ თავს დასტრიალებდა, დაჭყურეტდა მას. ლექსიკონი მისი განუყრელი თანამგზავრი იყო: მასთან ერთად შემოიარა საქართველო, ირანი, ევროპა /საფრანგეთი, იტალია/ და თურქეთი. იგი ყველგან და ყველა ვითარებაში იხვეწებოდა".[2]

ჩვენი ერის მოვაღლაფეოვანი კულტურული ტრადიციები, უმდიდრესი მხატვრული და სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის გამდიდრების უმაღლესი ღონე ლოგიკურად გვაფიქრებინებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანამდე გააჩნიოდეთ უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ თავიანთი ლექსიკონი. თვით საბას მოწმობითაც: "ქართულია ენასა ლექსიკონი ალარ იპოვებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო"[3] "დაკარგვა ასეთი წიგნისა, - წერს კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, - იწვევდა ენის გარდვნა-დამახინჯებას. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ აძნელებდა წაკითხული წიგნების ჯეროვან გაგებას. ამ ფაქტს ყველაფერს გრძნობდნენ მშობლიური კულტურის მოამაგენი, პირველ რიგში თვით საბა".[4]

"ქართული ლექსიკონს" სულხან-საბა ორბელიანის სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. თანამედროვენი დიდი მოწონებითა და ქებით იხსენიებენ "სიტვის კონას",[5] რომლის "არაერთ

---

1. სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ხხზულებანი, ტ. IV₁, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული წესებრივ მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1965, გვ. 31.
2. ვ. ფ ო ფ უ რ ი ა, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მნიშვნელობისათვის, გვ. 60.
3. სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ხხზულებანი, ტ. IV₁, ლექსიკონი ქართული, გვ. 31.
4. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 480.
5. ამის შესახებ ვრცლად იხ. ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ქართული ლექსიკოგრაფიის

წუხლაზე ეხვეპეში სპას სიბრძნით მოხიბლული ყალამნერია და მკითხველია მიერ პოეტურად გამოთქმული შეფასებას".[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალჯერის აზრის ხაგვასმული და მითითებული ამ ლექსიკონის ფასდაუდებელი მნიშვნელობა როგორც ქართული ლექსიკოგრაფიის, ისე საერთოდ, ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შეფასებით, "ქართული ლექსიკონი" "ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, - მაშინ ხომ იგი ცის მანათობელივით უნდა მოვლენოდა ქართველებს".

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ "სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობიდან ყველაზე უფრო შესანიშნავია მის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონი";[2] მეორე: "ვეფხისტყაოსანთან" ერთად და მის გვერდით სპა-სულხან ორბელიანის "ქართული ლექსიკონი" /"სიტყვის კონა"/ ძველი ქართული ენობრივი /სულიერი/ კულტურის ძვირფასი ძეგლია და უდიდესი მიღწევაც".[3]

სულხან-საბა ორბელიანის "ქართული ლექსიკონის" უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში ვრცლად აქვს დახასიათებული ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს. ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ ნაშრომში. "მნიშვნელობა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა, - წერს ავტორი, - განსაკუთრებით დიდია არა მარტო ქართული ენათმეცნიერებისათვის, არამედ ქართული მეცნიერებისა და საერთოდ კულტურის ისტორიისთვი-

---

ისტორიიდან. მის წიგნში: ნარკვევები, I, სტატიები, 1955, გვ. 64-135; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა". მის წიგნში: ენა და ლიტერატურა, გვ. 56-66.

1. ლ. ქ ო ბ ა ხ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები /ავტოგრაფების მიხედვით/, თბილისი, 1957, გვ. 7-8.

2. ა. შ ა ნ ი ძ ე, წინასიტყვაობა, წიგნში: ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, აწოდ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს და აწოდ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, ტფილისი, 1928, გვ. III.

3. ალ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სპას "სიტყვის კონა", როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 276.

